www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 21 სექტემბერი, 2012 წელი. | №3114 (210) | ფასი 50 თეთრი

რეალობის ძალიან მკაცრი კრიტიკოსი სასჯელაღსრულების მინისტრად

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ახალი მინისტრი ჰყავს. ხათუნა კალმახელიძე გიორგი ტულუშმა შეცვლა. მას შემდეგ, რაც მთელ პენიტენციურ სისტემაში რეორგანიზაცია გამოცხადდა, ქვეყნის პრეზიდენტმა საქართველოს სახალხო დამცველს რეალობის მკაცრი კრიტიკოსი უწოდა და მინისტრად წარადგინა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ბაჩო ახალაია გადადგა



გუშინ, საღამოს, შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია თანამდებობიდან გადადგა. მისი განცხადება შსს-ს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა. ახალაიას თქმით, ის მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გრძნობს.

"მე, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, შეძრწუნებული ვარ იმ დანაშაულით, რომელიც გლდანის მე-8 საპყრობილეში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია, მე აღარ ვხელმძღვანელობ სასჯელაღსრულების სისტემას, ზოგიერთმა ხელმძღვანელმა პირმა, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, არ დაეშვათ მსგავსი ამაზრზენი ფაქტები, ჩემი ხელმძღვანელობის დროს დაიწყო მუშაობა სისტემაში.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პროტესტი გრძელდება

მარი ახსიაშვილი

პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ დაწყებული საპროტესტო აქციები გუშინ თბილისში, ერთდროულად რამდენიმე ადგილას განახლდა. თავდაპირველად, სტუდენტთა ჯგუფი ფილარმონიასთან შეიკრიბა, ცოტა ხანში კი მათი კოლონა თსუ-ს პირველ კორპუსთან მიმდინარე აქციას შეუერთდა. მათ გადაკეტეს ჭავჭავაძის გამზირის ნაწილი და მელიქიშვილის გამზირი. ორგანიზატორები მძღოლებს მოუწოდებდნენ, მხარდაჭერა სიგნალებით დაედასტურებინათ, რასაც, თანხმობის ნიშნად, რამდენიმე წუთის განმავლობაში სიგნალები მოჰყვა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

უწყვეტი ძალადობა სირიაში

ხათუნა გაბიევი

ჰაგაში სირიის "მეგობართა ჯგუფის" შეხვედრა გაიმართა, სადაც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის შესუსტების გზებზე იმსჯელეს. შეხვედრაში ფინანსური ექსპერტები, უცხოელი დიპლომატები და სირიიდან დევნილი ოპოზიციონერები მონაწილეობდნენ. კონსულტაციების უმთავრესი მიზანი ქვეყნის მმართველ რეჟიმზე ეკონომიკური ზემოქმედებისთვის პრეზიდენტისა და მმართველი გუნდის ფარული ფინანსური აქტივების გამოვლენაა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606↓
1 ევრო	2.0826↓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294↓
1 თურქული ლირა	0.9089↓
100 რუსული რუბლი	5.1422↓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

რას ნიშნავს მუზეუმი დღეს?

თბილისის სამუზეუმო უბნის განვითარებისათვის

ბელა ჩეკურიშვილი

19-22 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმი მასპინძლობს საერთაშორისო კონფერენციას "რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა" და გამოფენას "სამუზეუმო კუნძული ბერლინში - თბილისის სამუზეუმო უბანი. წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა", რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები - პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. გამოფენა სამუზეუმო კუნძულის სამეურვეო საბჭოს და ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მუზეუმი, როგორც ინსტიტუცია, მნიშვნელოვნად განვითარდა. მისი დანიშნულება გასცდა ექსპონატების შეგროვების, დაცვისა და გამოფენის იმ ტრადიციულ ჩარჩოს, რომელიც მას მე-19 საუკუნიდან ჰქონდა შეძენილი. 21-ე საუკუნეში მუზეუმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქის ცხოვრების და ტურიზმის განვითარებაში. თანდათანობით მუზეუმები იქცნენ "ქალაქის შემოქმედებით ცენტრებად". კონფერენციის მთავარი თემა მუზეუმის ახალი როლის განხილვა იყო მსოფლიოს წარმატებული მუზეუმების მაგალითების მიხედვით, როგორიცაა თანამედროვე ტენდენციები ბერლინის "სამუზეუმო კუნძულის";

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ქეცბაია ქართველების წინსვლით კმაყოფილია

ყოველთვის სასიამოვნოა, როცა შენს ქვეყანაზე ან შენი ქვეყნის წარმომადგენელზე, რომელიმე პრესტიჟულ უცხოურ გამოცემაში კარგს წერენ. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი წარმატებით დაიწყო და ამას ფიფას ოფიციალური ვებგვერდიც გამოეხმაურა, რომელმაც "ხუთჯვაროსნებს" და მის მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას სოლიდური მასალა მიუძღვნა.

"9 დღის წინ საფეხბურთო სამყარო გაოგნებული უცქერდა, თუ როგორ ვერ ახერხებდა მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები 86 წუთის განმავლობაში საქართველოს ეროვნული გუნდის კარში გოლის გატანას.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

2 მილიონი დოლარი ვიდეომასალისთვის

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალისთვის ვლადიმერ ბედუკაძემ 2 მილიონი აშშ დოლარი მიიღო, - განაცხადა გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ.

როგორც მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, ამ ეტაპზე ვიდეოფირების დეტალური დამუშავება კვლავ მიმდინარეობს, თუმცა უკვე დადგენილია, რომ ყველა დანაშაული ჩადენილია გლდანის N8 საპყრობილეში. მისივე თქმით, ვიდეომასალის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ სახეზეა ორი სახის დანაშაული: ერთი - სისტემური და მეორე - ანგარებითი. მურთაზ ზოდელავას განმარტებით, ბედუკაძე-ფურცხვანიძის ე.წ დანაშაულებრივი ჯგუფი სასტიკ დანაშაულს ანგარებით ჩადიოდა, რათა ვიდეოფირზე აღბეჭდილი წამების კადრები შემდეგ მესამე - დამკვეთი პირისთვის გადაეცა. როგორც მთავარი პროკურორი აცხადებს, ბედუკაძე-ფურცხვანიძე ამ მესამე პირთან ელიზბარაშვილი-თამაზაშვილის მეშვეობით თანამშრომლობდნენ. მთავარი პროკურორის განცხადებით, ბედუკაძემ ციხეში პატიმართა წამების ამსახველი კადრების გადაღებისთვის 2 მილიონი დოლარი აიღო.

პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა სამხედრო მოსამსახურეებს ბინები გადასცეს

პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა სამხედრო მოსამსახურეებს ბინები გადასცეს. სამხედრო ქალაქში ბინის პირველი გასაღები მიხეილ სააკაშვილმა ლოპოტას ხეობაში დაღუპული ექიმის ვლადიმერ ხვედელიძის ოჯახის წევრს გადასცა. "ჩვენ დაპირებას ვასრულებთ და ბინებს გადავცემთ ასმეთაურებს, სხვადასხვა ოპერაციებში დაღუპული და დაჭრილი სამხედროების ოჯახებს. გვაქვს კონცეფცია, რომ მებრძოლებს არასდროს ვტოვებთ. ლოპოტას ხეობაში კაპრალი, ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე შეეწირა იმას, რომ გამოეყვანა თავისი თანამებრძოლი, თვითონ კი ვერ გადარჩა. პირველ რიგში, ვლადიმერ ხვედელიძის ოჯახს მინდა გადავცე ბინის გასაღები," - განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტმა ბინების გასაღებები სერჟანტ კახაბერ მანგოშვილს, კაპრალ ბესიკ ბურდულს, ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ გელაძესა და მაიორ ბექა ამბროლაძესაც გადასცა. "ვინც რა უნდა ილაპარაკოს, ამხელა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს წინააღმდეგობა გაუწია ერთმა მუჭა ჩვენმა არმიამ შეუდარებელ პროპორციებში, იყო რამდენიმე ასეული თვითმფრინავი, რომლებიც ჩვენ გვბომბავდა, ჩვენ გვქონდა სულ რამდენიმე ათეული რაკეტა მათთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ჩვენი არტილერია რამდენიმე დღის განმავლობაში გმირულად ამაგრებდა პოზიციებს. ეს იყო ზუსტად ის დრო, რომ გამოეღვიძა საერთაშორისო თანამეგობრობას და გადაერჩინა ქართული სახელმწიფოებრიობა. ვინ გადაარჩინა საქართველო, რომ დღეს ვდგავართ? მნიშვნელოვანი იყო ექვსი პრეზიდენტის ჩამოსვლა და ამ პროცესში საფრანგეთის ჩართვაც, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ქართველებს აღმოაჩნდათ უნარი, გაეწიათ მართლაც გმირული წინააღმდეგობა. მათ გადაარჩინეს ქვეყანა ისე, რომ არც ერთი ჩვენი დონის და ზომის ქვეყანა ასეთი დონის შემოჭრის დროს არასდროს გადარჩენილა," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროტესტი

მუსიკოსმა ბაკურ ბურდულმა პროტესტის ნიშნად ღირსების ორდენზე უარი განაცხადა. მისი განმარტებით, იგი შეურაცხყოფილია იმით, რაც ბოლო დღეებში ტელევიზიით ვრცელდება. "მივხვდი, რომ ასეთ სიცოცხლეს, უბრალოდ, აზრი არა აქვს, როცა თვალებს ისეთ რამეზე ხუჭავ, რაზეც, უბრალოდ, აღარანაირად არ შეიძლება თვალების დახუჭვა. როდესაც ასეთი რაღაცები ხდება მათი მმართველობის დროს, ვერანაირად ვეღარ დავუდგები იმ ადამიანებს გვერდით, რომლებმაც ღირსების მედალი მაჩუქეს," - განაცხადა ბაკურ ბურდულმა. გავრცელებული კადრების ნახვით შეძრწუნებულია ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილიც. "შემზარავი ფაქტია; როგორც ქართველს, მრცხვენია, რაც მოხდა. კი გვესმოდა, რომ საპატიმროებში პატიმრებს უდიერად ექცეოდნენ, მაგრამ თუ ასეთი რამ ხდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. მე პოლიტიკაში არ ვერევი, თუმცა როგორც საქართველოს მოქალაქე და როგორც ადამიანი, ყოველთვის დავაფიქსირებ ჩემს აზრს და პროტესტს. ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს," - განაცხადა ნინო სუხიშვილმა. პროტესტს გამოთქვამს ანსამბლი "ერისიონიც". იგი სრული შემადგენლობით "ქართულ ოცნებას" შეუერთდა. "ანსამბლ "ერისიონის" მთლიანი შემადგენლობა "ქართულ ოცნებას" უერთდება და ქვეყანაში გამეფებული უკანონობის მიმართ საკუთარ პროტესტს აფიქსირებს. "ერისიონის" წევრების განცხადებით, ხელოვანები ხალხის სამსახურში უნდა იყვნენ და არა ხელისუფლების," - ნათქვამია ანსამბლის განცხადებაში. საზოგადოებრივ მღელვარებას იზიარებს და უერთდება რუსთაველის თეატრის უკლებლივ ყველა თანამშრომელიც, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, - ამის შესახებ ოფიციალური განცხადება თეატრის "ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

პოზიციას აფიქსირებს პოეტი რატი ამაღლობელი. "გლდანის ციხეში მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სასჯელაღსრულების სისტემა დიდი ხანია, დალპა," - აცხადებს იგი და აქციის მონაწილეებს უერთდება.

პატიმართა წამების ფაქტებს მწერალი ლაშა ბუღაძეც აპროტესტებს. თანამოქალაქეების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით გუშინ აქციაზე ისიც მივიდა.

პროტესტი გრძელდება

პირველი გვერდიდან

აქციის მონაწილეებს გულშემატკივრობდა მელიქიშვილის გამზირის მცხოვრებთა ნაწილიც.

თსუ-ს პირველი კორპუსთან აქციის მონაწილეები პატიმრების წამებას ასეთი ლოზუნგებით აპროტესტებდნენ - "დემოკრატია აუპატიურებს?", "დაიცავი სიცოცხლე", "ახალაია წადი", "ბაჩო ახალაია გასამართლდეს", "სისტემა ყარს", "სოლიდარობა პატიმრებს", "ცოცხებს თურმე ინსტრუქციაც უნდა მოჰყვებოდეს", "Justice is raped". აქცია, დაახლოებით, ერთ საათს გაგრძელდა. სტუდენტებმა მოითხოვეს, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს დროშები არ გაეშალათ, რადგან ეს არც ერთი პარტიის მხარდამჭერი აქცია არ არის. ახალგაზრდების თქმით, ეს იმ საპროტესტო მუხტის გამოძახილია, რომელიც ქვეყანაში ციხეებში ძალადობრივი ქმედებების გამო გაჩნდა. მოთხოვნას პარტიების წარმომადგენლები გაგებით მოეკიდნენ და პარტიული დროშები დაუშვეს.

მოგვიანებით სტუდენტებმა თსუ-დან მთავარი პროკურატურის მიმართულებით დაიწყეს სვლა. რუსთაველის მეტროსთან რამდენიმეათასიანი ჯგუფი გაიყო - ნაწილი პრეზიდენტის რეზიდენციისკენ გაემართა, მეორე ნაწილი კი - იუსტიციის სამინისტროსკენ.

პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიმავალ სტუდენტთა კოლონას "სამოქალაქო ფრონტის" ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი უძღვებოდა.

"უნდა დამთავრდეს ის ძალადობა, რომელსაც ისინი ახორციელებენ არა მხოლოდ ციხეებში, არამედ მთელ ქვეყანაში. უნდა დამთავრდეს სააკაშვილის, მერაბიშვილის და ადეიშვილის რეჟიმი. ასევე მოვითხოვთ, რომ პასუხი აგოს ყველამ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ციხეებში მომხდარ დანაშაულში," - განაცხადეს აქციის მონაწილეებმა. ისინი პრეზიდენტის რეზიდენციიდან საპატრიარქოსკენ გაემართნენ და სოლიდარობის აქცია გამართეს. სტუდენტების თქმით, ხელისუფლება ცდილობს, პატრიარქზე მოახდინოს ზეწოლა, რაც ამ მოვლენების განვითარების შემდეგ კარგად გამოჩნდა. აქციის მონაწილეები ბარათაშვილის ხიდთანაც შეჩერდნენ და საქართველოს ჰიმნი შეასრულეს.

საპატრიარქოს შემდეგ კი სტუდენტები იუსტიციის სამინისტროსთან მიმდინარე აქციას შეუერთდნენ. ახალგაზრდებმა იუსტიციის სამინისტროს მიმდებარე ტერიტორია დაიკავეს, ხანმოკლე მიტინგი გამართეს და ყოველგვარი ძალადობა გააპროტესტეს უცვლელი მოთხოვნით - გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია და დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც პატიმართა წამებაში მონაწილეობდა.

აქციის ის მონაწილეები კი, რომლებიც თავიდანვე მთავარი პროკურატურისკენ აწყობდნენ მსვლელობას, რუსთაველის გამზირზე არჩილ გეგენავას საარჩევნო შტაბთან შეჩერდნენ. ისინი "ნაციონალური მოძრაობის" მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატის ოფისთან სკანდირებდნენ - "წადი, წადი" და "ძირს ახალაია". მოგვიანებით საპროტესტო აქციაში მონაწილეები, პროკურატურის ტერიტორიის გავლით, ორთაჭალის ციხესთან მივიდნენ. სტუდენტები სასჯელაღსრულების #1 დაწესებულებასთან სტვენითა და შეძახილებით მხარდაჭერას უცხადებდნენ იქ მყოფ პატიმრებს. პატიმრები ფანჯრებიდან ხელის ქნევით ესალმებოდნენ აქციის მონაწილეებს. აქციაში მონაწილეები სკანდირებდნენ - "თქვენთან ვართ". მომიტინგეებმა ორთაჭალაში პროტესტი გამოთქვეს "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატ დავით საყვარელიძის ოფისთანაც. შემდეგ კი კვლავ ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციასთან გადაინაცვლეს, სადაც ისევ შს მინისტრ ბაჩო ახალაიას გადაყენება და პატიმრების წამებაში მონაწილე პირების დასჯა მოითხოვეს. მსვლელობას კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილის შვილი ბერა ივანიშვილიც შეუერთდა, რომელსაც შავი ფერის "Georgian Dream Studio"-ს მაისური ეცვა.

"აქ მოვედი, როგორც რიგითი მოქალაქე და არა როგორც პოლიტიკოსის შვილი. იმ კადრების ნახვის შემდეგ ახლაც მგონია, რომ კოშმარში ვარ," - განაცხადა ბერამ. აქციის მონაწილე სტუდენტებმა კი მას უთხრეს, რომ არ სურთ, საპროტესტო მსვლელობა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ტრიბუნად იქცეს.

პრეზიდენტის რეზიდენციასთან შეკრებილ სტუდენტებს მამა გიორგიმაც მიმართა. მან აქციის მონაწილეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ახალგაზრდებმა ღირსება არავის უნდა შეალახინონ.

მისი თქმით, რაც პენიტენციურ სისტემაში ხდება, არის ღვთისა და სამშობლოს ღალატი. **"როდესაც სახელმწიფო ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება, მაშინ ხალხი არ უნდა დადუმდეს,"** - განაცხადა სასულიერო პირმა.

დღის ბოლოს თავისუფალ სტუდენტთა ნაწილი სამების ეკლესიისკენ გაემართა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან შესახვედრად, მეორე ნაწილი კი გლდანის ციხესთან დილიდანვე მიმდინარე აქციას შეუერთდა. პატიმართა მშობლები და აქციის სხვა მონაწილეები რეზიდენციიდან წამოსულ ახალგაზრდებს ოვაციებითა და შეძახილებით შეხვდნენ. მათი განცხადებით, საქართველო ერთიანია და ახალგაზრდების სულისკვეთება იმედს იძლევა, რომ არსებული რეჟიმი მალე შეიცვლება. მე-8 საპყრობილესთან, პატიმრების მშობლები და ნათესავები, ჟურნალისტ ლალი მოროშკინასთან ერთად, საყოველთაო ამნისტიას ითხოვდნენ. მათ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს, რომელსაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეიტანენ. მოროშკინას თქმით, პატიმრებთან მნახველების შეშვება სახელმწიფოს მხრიდან კიდევ ერთი ფარსია.

"მე თვითონ ვარ ნაჯდომი მოდულის შენობაში. იქ ყველა კუთხე-კუნჭულში დამონტაჟებულია კამერები, ასევე მათ ჰყავთ სპეციალისტები, რომლებიც პირის აპარატის მიხედვით შიფრავენ საუბარს," - განაცხადა მოროშკინამ და აღნიშნა, რომ ყველა პატიმარს არ ახვედრებენ ახლობლებს და პატიმრები დაყოფილები არიან ორ ჯგუფად: მორჩილ და არამორჩილ პატიმრებად. მოროშკინა ამბობს, რომ არამორჩილი პატიმრები კარცერებში იმყოფებიან და მათ ახლობლებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევენ.

გარდა ამისა, გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან პატიმრების ახლობლებმა რამდენჯერმე დაწესებულების ავტომანქანები არ გამოუშვეს. ციხის თანამშრომლები იძულებულები გახდნენ, ავტომანქანები ისევ ეზოში დაებრუნებინათ. როგორც პატიმრების ახლობლები აცხადებდენ, ისინი შიშობენ, რომ ციხიდან სასტიკად ნაცემი პატიმრები ჩუმად სხვა ციხეებში გადაჰყავთ და ამიტომ არ უშვებენ მანქანებს გარეთ. პატიმრების ახლობლები ციხის შესასვლელ კარზე აბრახუნებდნენ და სკანდირებდნენ - "გამოდით", პატიმრებთან შეხვედრას ითხოვდნენ, ბოთლებს ისროდნენ. ერთ-ერთი პატიმრის ახლობელს ბოთლის ნატეხი ხელზე მოხვდა და მტევნის არეში ზედაპირული დაზიანება მიიღო. სასწრაფო დახმარების ექიმებმა მას დახმარება აღმოუჩინეს.

გუშინ საპროტესტო აქცია გაიმართა ფილარმონიასთანაც. მოქალაქეებმა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგელებმა, უფლებადამცველებმა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლებმა შეკრება 17:00 საათიდან დაიწყეს. ისინი სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად იმავე მოთხოვნებს აყენებდნენ, რაც წინა დღეს გაახმოვანეს. კერძოდ, აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ თანამდებობიდან გათავისუფლდნენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, ასევე მთავარი პროკურორი. აქციას პოლიტიკოსებიდან მხოლოდ "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელი ზაზა გაბუნია ესწრებოდა.

გაბუნიას თქმით, ვიდრე გლდანის ციხეში მომხდარ დანაშაულებზე პასუხისმგებელი ყველა პირი არ დაისჯება, ამაო იქნება ნებისმიერი რიტორიკა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ. ფილარმონიასთან შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა მელიქიშვილის გამზირი გადაკეტეს. იქვე მოძრავი მიკროავტობუსებიდან მგზავრები ჩამოვიდნენ და აქციის მონაწილეებს შეუერთდნენ. მონაწილეებმა მიკროავტობუსებზე წარწერები გააკეთეს: "არ გპატიობთ" და "არ აწამო". აქციის მონაწილეებმა ფილარმონიაში სპექტაკლ "ვერის უბნის მელოდიების" ჩვენება ჩაშალეს. ერთ-ერთი ორგანიზატორის დაჩი ცაგურიას განცხადებით, მათ სცენაზე ხუთი ცოცხი აიტანეს და მსახიობებს ფეხებთან დაუყარეს. **"მისია შესრულებულია. ჩვენმა ბიჭებმა ცოცხები ფეხებთან დაუყარეს სოფო ნიჟარაძეს, ბუბა კიკაბიძეს და სხვებს, ვინც გაწაფულია მთავრობასთან ხვევნა-კოცნაში,"** - განაცხადა ცაგურიამ.

პარალელურად, მომიტინგეებმა დარბაზის შესასვლელთან "სირცხვილის კორიდორი" მოაწყვეს და სპექტაკლზე დასწრების მსურველ მოქალაქეებს სტვენითა და შეძახილებით - "გრცხვენოდეთ" - აცილებდნენ.

აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ჰაერში გადაჯვარედინებული ცოცხები და კონცერტზე დასწრების მსურველებს ცოცხების ქვეშ უწევდათ გავლა. ამას მოქალაქეების ნაწილმა თავი აარიდა და სპექტაკლზე დასწრება გადაიფიქრა.

აქციები გაიმართა რუსთავსა და ბათუმშიც. სტუდენტებმა ძალადობა კვლავ გააპროტესტეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობასთანაც. როგორც აქციაში მონაწილე სტუდენტები აცხადებდნენ, მათი მოთხოვნა ქვეყანაში პატიმრების უფლებების დაცვა და მათ წამებაში მონაწილე პირების დასჯაა.

"ჩვენ გამოვდივართ იმ უკანონობის წინააღმდეგ, რაც ჩვენი თვალით, ვიდეოებით ვიხილეთ. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ სამართლიანობას," - ამბობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი დავით შალიკაშვილი. სტუდენტებმა აქციის ბოლოს, სიმბოლურად ცოცხი დაწვეს. ქუთაისშივე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა პრესის სახლის წინ პატიმართა წამების წინააღმდეგ კიდევ ერთი აქცია გამართეს და ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რეალობის ძალიან მკაცრი კრიტიკოსი სასჯელაღსრულების მინისტრად

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მიხეილ სააკაშვილი ყოფილ ომბუდსმენს და ახალ მინისტრს სრულ დამოუკიდებლობას დაპირდა და განაცხადა, რომ მის საქმიანობაში კანონის და საზოგადოების გარდა ვერავინ ჩაერევა.

"გიორგი ტუღუშისგან ბევრ ინფორმაციას ვიღებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ვერ გავითვალისწინეთ. ამიტომ ვნიშნავ რეალობის ძალიან მკაცრ კრიტიკოსს ამ სისტემის ხელმძღვანელად და ამას შეგნებულად ვაკეთებ. ჩვენ გვჭირდება ახალი სისტემა, რომელიც გამორიცხავს პროვოკაციებს, შეგნებით თუ შეუგნებლად ასეთი ტიპის დანაშაულების ჩადენას. გიორგი ტუღუში არის წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო კომიტეტის წევრი, არის ერთ-ერთი უძლიერესი ექსპერტი ადამიანის უფლებების დარგში და აქვს ძალიან მნიშვნელოვანი განათლება. მას ასევე ბევრი უბრძოლია ამ სისტემის გასაუმჯობესებლად. მიხარია, რომ ადამიანმა, რომელიც პოლიტიკოსი არ არის, ამ რთული გამოწვევის წინაშე უკან არ დაიხია," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გიორგი ტუღუში სახალხო დამცველად პარლამენტმა 2009 წელს 5 წლის ვადით აირჩია.

"წინამორბედისგან განსხვავებული, არაანგაჟირებული, პროფესიონალი, პატიოსანი, რომელიც პოლიტიკურ მოტივებზე არ იმუშავებს," - ასე ახასიათებდნენ ომბუდსმენად არჩევისას გიორგი ტუღუშს ხელისუფლების წარმომადგენლები და პარლამენტარები. თუმცა, მოგვიანებით, ომბუდსმენის 500-700-გვერდიან კრიტიკულ მოხსენებებს საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ 10-15 ოპოზიციონერი დეპუტატი უსმენდა და სახალხო დამცველის მნიშვნელოვან ანგარიშს, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ყველა სფეროს მოიცავდა, პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ ცნობის სახით იღებდა.

ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ფონზე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს, რომ დაუშვეს დიდი შეცდომა, როდესაც ომბუდსმენის "სიგნალებს" შესაბამისი ყურადღება არ დაუთმეს.

თავად გიორგი ტუღუში ახალ შეთავაზებას მოულოდნელს და მნიშვნელოვანს უწოდებს და დიდ გამოწვევადაც აფასებს. სასჯელაღრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა ახალი მინისტრი აცხადებს, რომ მზად არის, გაითვალისწინოს ომბუდსმენობისას შემუშავებული ყველა რეკომენდაცია.

"ძალიან მიჭირს იმ უწყების დატოვება, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი. ომბუდსმენის აპარატმა ბევრი რამ შეძლო, თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ პრობლემების ასახვა შევძელით. აქამდე მე არ მქონდა კომპეტენცია, რაღაც გამომესწორებინა. ჩემი თანხმობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ სისტემაში რადიკალური ცვლილებების განხორციელების საშუალება მომეცემა და ყველა პატიმრის უფლებებს დავიცავ. ეს არის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ჩემთვის დიდი მოტივაციის მომცემია, ხელი შევუწყო ისეთი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც მინიმუმამდე დავა პატიმრების პრობლემები," - განაცხადა გიორგი ტუღუშმა მინისტრად წარდგენისას.

ახალი მინისტრის განმარტებით, პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობა სისტემაში ერთადერთი პრობლემა არ არის. გიორგი ტუღუშის თქმით, არასახარბიელო მდგომარეობაშია ჯანდაცვა და ინფრასტრუქტურაც.

"მთლიანად აღმოვფხვრი არასათანადო მოპყრობას და ეტაპობრივად ყველა პრობლემის მოგვარებას დავიწყებ. ჩემი პრიორიტეტი იქნება სისტემის გადახალისება და თანამშრომლობა ყველასთან, ვინც ამ სფეროში აქტიურია. მინდა, მივიღოთ სისტემა, რომელზეც საუბარი ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება. ის უნდა ემსახურებოდეს პირთა რესოციალიზაციას და არა მათი ღირსების შელახვას და საზოგადოებაში ტრავმირებულად დაბრუნებას. პრეზიდენტი სისტემაში სრულ თავისუფლებას დამპირდა. მზად ვარ, ჩემივე დაწერილი თვითონვე შეასრულო," - განაცხადა ყოფილმა ომბუდსმენმა. გიორგი ტუუღუშის განმარტებით, ყველა პრობლემის ეტაპობრივად მოგვარებისთვის, მას პრეზიდენტთან პირადი კომუნიკაცია ექნება.

მინისტრის პოსტზე წარდგენისას, ყოფილმა ომბუდსმენმა ხაზი სფეროს დაფინანსების გაზრდის მნიშვნელობასაც გაუსვა.

"აუცილებელია, სისტემის დაფინანსება გაიზარდოს და მოხდეს დამატებითი რესურსების მოზიდვა. ვიზრუნებ, რომ გაიზარდოს პრობაციის სერვისის მუშაობა და პატიმრების რიცხვი შემცირდეს. მინდა დავაიმედო მშობლები, რომ მათი პატიმრები მაქსიმალურად დაცული იქნებიან. ბევრი განცვიფრდა ალბათ, რატომ დავთანხმდი ამ პოსტს. აქამდე პრობლემებზე ვწერდი. ბევრი ჩემი რეკომენდაცია მოწოდებად დარჩა. ახლა კი მომეცემა საშუალება, მოვაგვარო ყველაფერი, რაზეც აქამდე ვსაუბრობდი," - სახალხო დამცველის მოვალეობას, დროებით, მისი მოადგილე ტატა ხუნწარია ასრულებს.

რაც შეეხება სასჯელარღულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა ახალი მინისტრის ბიოგრაფიულ მონაცემებს. გიორგი ტუღუში ადამიანის უფლებათა სამართლის სპეციალისტია, აქვს 14-წლიანი სამუშაო გამოცდილება. გიორგი ტუღუშმა 1999 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტი, 2001 წელს მიიღო ქართულ-ამერიკული საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მაგისტრის ხარისხი სახელმწიფო მართვის დარგში. 2003 წლიდან გახდა ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) იურიდიული ფაკულტეტის, "რაულ ვალენბერგის" სახელობის საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის მაგისტრანტი და მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარგში.

1996 წლიდან გიორგი ტუღუში მუშაობდა ჯერ ქალაქ თბილისის მერიის იურიდიულ განყოფილებაში, შემდეგ - თბილისის მთავრობის პრემიერის მოადგილის თანაშემწედ, ხოლო 1999 წლიდან - თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსად.

2000 წლიდან გიორგი ტუღუში "ტასისი"-ს ეროვნული ექსპერტი იყო ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების დარგში. ამავე პერიოდში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში ჯერ რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის აპარატის წამყვან სპეციალისტად იურიდიულ საკითხებში, შემდეგ - დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის აპარატის წამყვან სპეციალისტად, მოგვიანებით კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწედ.

2000-2002 წლებში მუშაობდა ურბანული ინსტიტუტის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადგილობრივი მმართველობის რეფორმის პროექტის იურიდიულ ექსპერტად. 2002 წლიდან - "გოპა კონსალტინგის" (გფრ) ადგილობრივი ექსპერტი და ზურაბ ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექტორი გახდა. გიორგი ტუღუში, ომბუდსმენობამდე, სახალხო დამცველის აპარატში საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი იყო. მალე მან ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის (ეუთო) საქართველოს მისიაში ადამიანის უფლებათა საკითხებში მრჩევლის პოზიცია დაიკავა. ეუთოს საქართველოს მისიაში გიორგი ტუღუში 2008 წლამდე მუშაობდა.

სახალხო დამცველად არჩევამდე, ტუღუში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "ომბუდსმენის აპარატის ხელშეწყობა" მენეჯერი იყო. 2005 წლის 1 დეკემბრიდან იყო ევროპის საბჭოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის კომიტეტის (CPT) წევრი (არჩეული 4 წლის ვადით, 2009 წლის 19 დეკემბრამდე), ხოლო 2009 წლის 25 მარტიდან იგი აღნიშნული კომიტეტის წევრად კვლავ აირჩიეს მეორე ვადით (2013 წლის 19 დეკემბრამდე).

2011 წლის 18 ოქტომბერს გიორგი ტუღუში აირჩიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (UN CAT) - ის წევრად 4 წლის ვადით. პარალელურად გიორგი ტუღუში მონაწილეობდა სხვადასხვა რეფორმის მიმდინარეობისას შექმნილი ჯგუფების მუშაობაში და ეწეოდა საქმიანობას არაერთი პროექტის ფარგლებში.

ბაჩო ახალაია გადადგა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

აქედან გამომდინარე, მე ვგრძნობ მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ჩვენ ვერ აღვკვეთეთ ეს საშინელი პრაქტიკა. ამიტომ მივმართე პრეზიდენტს ჩემი გადადგომის შესახებ განცხადებით," - ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

გუშინ ახალაიას მიმართვაზე პრეზიდენტის რეაქცია არ გახმაურებულა, თუმცა, კანონის თანახმად, შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად უკვე დაინიშნა მისი პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე. როგორც ზღულაძემ პირდაპირ ეთერში საუბრისას განაცხადა, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში საქართველომ შეძლო ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა.

"პოლიციის რეფორმამ უზრუნველყო ორმხრივი ნდობა სამართალდამცავ სტრუქტურებსა და საქართველოს მოსახლეობას შორის. ეს ნდობა არის ყველაზე დიდი მიღწევა ყველა იმ რეფორმისა, რომლებიც საქართველოში გატარებულა. ეს სამინისტრო აშენდა იმისთვის, რომ ემსახუროს ქართველ ერს, არ მოხდეს ძალადობა, კორუფცია, დანაშაული, უკანონობა, რაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დიდი ნაწილი იყო. ჩვენ შევძელით ძალადობის და წამების რუტინული პრაქტიკის აღმოფხვრა პოლიციაში. ციხეში ჩადენილი ამაზრზენი დანაშაულის საპასუხოდ მე უზრუნველყოფ, რომ საპატრულო პოლიცია იყოს გიორგი ტუღუშის, პენიტენციური სისტემის ახალი მინისტრის სრულ განკარგულებაში და მიეხმაროს მას ამ სისასტიკის ციხეშიც აღმოფხვრაში. ეს სამინისტრო უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენი მოქალაქეები თავს გრძნობდნენ დაცულად," - განაცხადა შს ახალმა მინისტრმა.

ბაჩო ახალაიას გადადგომის მიუხედავად თბილისში აქციები არ წყდება. ხვალ საპროტესტო გამოსვლები ახალაიას გასამართლების მოთხოვნით განახლდება. ფილარმონიასთან შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა საქართველოს პრეზიდენტს ულტიმატუმი წაუყენეს.

მათი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს 24-საათიან ვადას აძლევენ ბაჩო ახალაიას დასაპატიმრებლად, წინაალმდეგ შემთხვევაში, მასშტაბური საპროტესტო აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება.

აქციის მონაწილეები ოვაციებით შეხვდნენ ახალაიას განცხადებას გადადგომის შესახებ, თუმცა აცხადებენ, რომ ეს საკმარისი არ არის და ის უნდა დააპატიმრონ. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც მიტინგზე გავრცელდა ინფორმაცია ახალაიას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, აქციის მონაწილეებმა ჰაერში "ქართული ოცნების" ლოგოიანი ბუშტები გაუშვეს.

შს მინისტრის გადადგომა არასაკმარისად მიიჩნიეს და უკმაყოფილონი შეხვდნენ გლდანის მე-8 საპყრობილესთან.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, არსებულ სიტუაციას და მდგომარეობას ბაჩო ახალაიას თანმდებობიდან გადადგომა ვერ უშველის.

რიგგარეშე პაემნები და პატიმრების ახლობელთა ეჭვები

მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა გლდანის N8 დაწესებულებაში პატიმრებთან რიგგარეშე პაემნების გამართვის ბრძანება გასცა, საპყრობილესთან პატიმრების ახლობლებისა და ოჯახის წევრების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. პაემნის მსურველები რეგისტრაციას მთელი ღამისა და დღის განმავლობაში გადიოდნენ და მათი შეშვება დაწესებულებაში ეტაპობრივად, ნაკადებად ხორციელდებოდა.

დღისა და ღამის განმავლობაში, გლდანის N8 დაწესებულებასთან პერიოდულად ინციდენტებიც ხდებოდა. დაწესებულების ეზოში სასწრაფო დახმარების ავტომანქანებისა და ნებისმიერი ტრანსპორტის გადაადგილება იქ მყოფებისთვის დაძაბულობის მიზეზი ხდებოდა, რასაც პროტესტი მოსდევდა.

რაც შეეხება ციხის შიგნით არსებულ მდგომარეობას. პაემნიდან გამოსულთა ნაწილის თქმით, პატიმრებს ცემის კვალი ეტყობათ. ნაწილის თქმით, პატიმრები უვნებლები არიან, ნაწილი კი ირწმუნებოდა, რომ მსჯავრდებულები ნამდვილად ნაცემები არიან, მაგრამ ისინი ამას პაემანზე მისულებთან მალავენ.

გლდანის ციხესთან მყოფთა ნაწილი ციხეში ჟურნალისტების შეშვებას და იქ არსებული ვითარების გადაღებას მოითხოვდა.

"გვაქვს ინფორმაცია, რომ პატიმრებს წყალს არ აწვდიან და ფანჯრები ამოულუქეს. სწორედ მედიის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ და ნახონ, შეესაბამება თუ არა სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია,"- აცხადებდნენ პატიმრების შშობლები.

ერთ-ერთი პატიმრის ბებიამ, რომელიც საპყრობილესთან მთელი დღის განმავლობაში პაემნის მოლოდინში იყო, განაცხადა, რომ პატიმრების წამების ამსახველ ვიდეოკადრებში შვილიშვილი ამოიცნო.

"როდესაც პატიმართა ცემის ფაქტებს აჩვენებდნენ, თვალყურს კადრებს მეორე შვილიშვილთან ერთად ვადევნებდი, რომელმაც მიმითითა, რომ მის დაკავებულ ძმას სცემდნენ. ამის შემდეგ დავაკვირდი და პატიმარი, რომელსაც აწამებდნენ, ნამდვილად ჩემი შვილიშვილი აღმოჩნდა, რის შემდეგაც პირდაპირ სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებასთან წამოვედი. გაჭირვებით მყავს გაზრდილი, მხოლოდ ორი შვილიშვილი დამრჩა, მეუღლეც დაღუპული მყავს და შვილიც," - განუცხადა "ინტერპრესნიუსს"პატიმრის ბებიამ. მისივე განმარტებით, მისი 19 წლის შვილიშვილი მაგნიტოფონის ქურდობისთვის არის დაკავებული.

"პატიმრები ამბობენ, რომ მათ მიმართ რამდენიმე დღეა ადმინისტრაციის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება იგრძნობა. პატიმრებს დენიც აქვთ და წყალიც, მაგრამ, ინფორმაციის ვაკუუმში კვლავ რჩებიან,"- განაცხადა გლდანის N8 დაწესებულებიდან გამოსულმა ილუმენმა იოანემ, რომელმაც ხუთი პატიმარი მოინახულა.

ხმაური და ხალხმრავლობა იყო სასჯელაღსლულების სხვა დაწესებულებებთანაც, სადაც მისული შშობლები პატიმარი შვილების ნახვას მოითხოვდნენ.

გუშინ, დღის ბოლოს, არ დადასტურდა გავრცელებული ინფორმაცია, რომ რუსთავის N6 დაწესებულებაში პატიმარი გოდერძი კიკნაძე გარდაიცვალა.

"მსჯავრდებული იყო აგრესიული, არ ისურვა საუბარი არც სახალხო დამცველის წარმომადგენელთან და არც საკუთარ ადვოკატთან,"- განაცხადეს ომბუდსმენის ოფისში, რომლის წარმომადგენლებიც მის მოსანახულებლად საპატიმროში იმყოფებოდნენ.

პატიმარ გოდერძი კიკნაძის ინტერესების დამცველის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს სახეზე დაზიანება ეტყობოდა. თუმცა, როგორც მსჯავრდებულმა ადვოკატს განუცხადა, მან დაზიანებები თავად, ემოციის ფონზე მიიყენა და კედელს ურტყა თავი.

"მაქვს ეჭვი, რომ მასზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა,"- განაცხადა ადვოკატმა.

დღის ბოლოს, პატიმრების შშობლებმა, გლდანის ციხესთან, საყოველთაო ამნისტიის მოთხოვნით, პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საქმეთა ახალ მინისტრთან, ყოფილ ომბუდსმენთან გიორგი ტყუღუშთან შეხვედრა მოითხოვეს.

სოზარ სუბარი ხელისუფლების პროვოკაციაზე საუბრობს

"ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის სოზარ სუბარის ინფორმაციით, საზოგადოების ყურადღების სხვა რამეზე გადატანის მიზნით, ხელისუფლება ფართომასშტაბიანი პროვოკაციისთვის ემზადება. ამის შესახებ სუბარმა გუშინ კოალიციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და განმარტა, რომ ამ მიზნით ბაჩო ახალაიამ და მისმა ძმამ თბილისის სხვადასხვა უბნებში 20-ზე მეტი ბინა იყიდეს, რომლებშიც იარაღია შეტანილი.

"ეს ინფორმაცია ვახო კომახიძეს მიანოდა ინფორმირებულმა წყარომ. წყაროს აქვს უტყუარი მტკიცებულება, რომ მზადდება ფართომასშტაბიანი პროვოკაცია. რა არის ბინების შეძენისა და მათში იარაღის შეზიდვის ზუსტი მიზანი, ცხადია, არ ვიცით, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მზადდება ტელესერიალები იმის შესახებ, თუ როგორ ამზადებენ "სამშობლოს მტრები" ან რომელიმე ქვეყნის აგენტები საქართველოში არეულობებს. ხელისუფლება ამაზე აპირებს საზოგადოების ყურადღების გადატანას, რათა სცადოს ძალაუფლობის შენარჩუნება," - განაცხადა სუბარმა. აღნიშნულ კონტექსტში მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ "ქართულ ოცნებას" ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით სურს. "ქართული ოცნება" კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა არჩევნები და არჩევნებში დამდგარი შედეგების შენარჩუნებაა - არ გავაყალბებინოთ," - განმარტა სუბარმა. ამასთან, მისივე თქმით, წყაროს ცნობით, არსებობს ხელისუფლების მიერ ფართომასშტაბიანი პროვოკაციისთვის მზადების დამადასტურებელი აუდიო და ვიდეოჩანაწერები, რომლებშიც ჩანს, რომ აღნიშნულში უშუალოდ ძმები ახალაიები და "მათი დანაშაულებრივი კლანის ნევრები მონაწილეობენ". სუბარი მოვუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, "გამადიდებელი შუშით დაკვირდნენ ხელისუფლების საქმიანობას ამ დღეებში, რათა რაიმე ტიპის პროვოკაცია გამოირიცხოს."

დასავლეთში წამების ამსახველ ვიდეომასალას და მის შედეგებს განიხილავენ

სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ვიდეომასალის გამოქვეყნებას დასავლურ პრესაში ეხმიანებიან. "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი საქართველოში წინასაარჩევნო ვითარებას აღწერს და აღნიშნავს, რომ საქართველოში პოლიტიკურმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მას შემდეგ მიიღო, რაც ქართულ ციხეში პატიმრების წამების შესახებ ვიდეომასალა გავრცელდა. გამოცემის თანახმად, ეს არის ომი, რომელმაც შეიძლება, ვარდების რევოლუციით დემოკრატიის მოდელად ქცეული სააკაშვილის რეჟიმი იმ სიმბოლოდ აქციოს, რასაც წლების წინ თავად გაიფთრებით ებრძოდა - ეს სიმბოლო კი, როგორც ავტორი განმარტავს, ხელისუფლებაში გამაგრებული ელიტაა, რომელსაც პოლიტიკური ცვლილებები არ სურს.

გერმანული "შპიგელი" წერს, რომ საქართველოში წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერები საარჩევნო ბრძოლას ამძაფრებს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეფორმატორულ იმიჯს აზიანებს. სტატიაში ნათქვამია, რომ ციხის თანამშრომლები პატიმარს ჯოხით აუპატიურებენ და სხვა პატიმრებს სცემენ. "შპიგელის" თანახმად, საქართველოში პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის მოწინააღმდეგეს, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს შორის საარჩევნო ბრძოლა მწვავდება. **"საპარლამენტო არჩევნებამდე, სულ რაღაც, ორი კვირით ადრე ამ კავკასიურ ქვეყანაში აღშფოთება გამოიწვია ვიდეორგოლებმა, რომლებშიც ციხის თანამშრომლების მხრიდან პატიმრების წამებაა ასახული. ოპოზიციასთან დაახლოებულმა სატელევიზიო არხებმა ეს ვიდეომასალა სამშაბათს საღამოს აჩვენეს,"** - ნათქვამია სტატიაში.

გერმანული ყოველდღიურ გაზეთ "ჰანდელსბლატში" გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ წინასაარჩევნო ბრძოლის შუაგულში ციხეში სისასტიკის ამსახველმა ვიდეოებმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. გამოცემის თანახმად, გათავისუფლებებისა და გადადგომის მიუხედავად, ზიანი მაინც დიდია. **"მოქალაქეები პროტესტს გამოთქვამენ, ოპოზიცია ამაში თავის შანსს ხედავს.**

პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ამსახველმა ვიდეოებმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკა საქართველოში ათასობით ადამიანი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოიყვანა," - აღნიშნავს გამოცემა.

"ჰანდელსბლატს" "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა უთხრა, რომ მისი კოალიცია პრეზიდენტ სააკაშვილს არჩევნებში დაამარცხებს. **"ევროპასა და დასავლეთში ჯერ კიდევ ბევრს ჰგონია, რომ აქ დემოკრატიაა. აქ საშინელებები ხდება. ეს ძალადობა მთელ საქართველოშია,"** - მოხმობილია ბიძინა ივანიშვილის სიტყვები. როგორც სტატიაშია აღნიშნული, საქართველოში ჩატარებული წინასაარჩევნო კვლევებით ძალიან წინააღმდეგობრივი შედეგები იკვეთება. განსაკუთრებით მაღალია იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვისაც გადაწყვეტილება არა აქვს მიღებული. **"დამკვირვებლები ხელისუფლების შეცვლას შესაძლებლად მიიჩნევენ,"** - მითითებულია გამოცემაში.

პატიმრებზე ძალადობის ფაქტების შესახებ წერს "ესოშიეიტედ პრესი". ისიც საკითხს არჩევნების კონტექსტში განიხილავს. **"ვიდეოები, რომლებშიც პატიმრებზე ძალადობის ფაქტებია ასახული, საქართველოში, ქუჩის საპროტესტო აქციებისა და საპარლამენტო არჩევნების წინ მთავრობასა და ოპოზიციას შორის მწვავე ურთიერთბრალდებების მაპროვოცირებელი გახდა,"** - აღნიშნავს გამოცემა. ამასთან, მასალაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც ორმა ტელეკომპანიამ ვიდეომასალა გაავრცელა, რომელშიც ციხის მცველები პატიმრებს სასტიკად ეპყრობიან, რამდენიმე საათში ასობით დემონსტრანტმა დედაქალაქ თბილისის ცენტრში ღამით გზა გადაკეტა.

დასავლური პრესის გარდა, გავრცელებულ ვიდეომასალას საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმიანებიან. გაერო-ს ბავშვთა ფონდი მკაცრად გმობს ბავშვების უფლებათა დარღვევას პენიტენციურ სისტემაში, რაც, "იუნისეფის" განცხადებით, ბოლოდროინდელ საინფორმაციო გამოშვებებში დოკუმენტურად გადაიცა. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად "არც ერთი ბავშვი არ უნდა ემსხვერპლოს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას." (მუხლი 37, CRC). იმავე უფლებების შესახებ არის ნათქვამი სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ხელშეკრულებებში, რომლებსაც საქართველომ ხელი მოაწერა და რომელთა რატიფიცირებაც მოახდინა.

"იუნისეფი" მთვრობას მოუწოდებს, დაიწყოს სრულყოფილი გამოძიება პატიმარი და დაკავებული მოზარდების ცუდი მოპყრობის ფაქტების შესახებ. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ყველა ბავშვის დაცულობა და უსაფრთხოება, მათ შორის მათიც, ვინც შეიძლება, გახდეს მსხვერპლი ან ძალადობის მოწმე საპატიმრო ადგილებში. მთავრობამ უნდა დაიცვას არასრულწლოვანთა უფლებები.

გაერო-ს ბავშვთა ფონდი ასევე შეშფოთებულია ავჭალის მოზარდთა საპყრობილში სავარაუდო ცუდი მოპყრობით, რასაც 2012 წლის 9 აგვისტოს განცხადებაში ომბუდსმენი შეეხო და მთავრობას ადეკვატური და სწრაფი ზომების მიღებისკენ მოუწოდა. გაერო-ს ბავშვთა ფონდი, სხვა დონორებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, ეხმარებოდა საქართველოს მთავრობის რეფორმებს მოზარდთა სასჯელაღსრულების სისტემაში და მზად არის, უწყვეტი დახმარება გაუწიოს ყველა პარტნიორს, ისე როგორც ეს შეესაბამება CRC-ს და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს.

საკუთარი ინფორმაცია

ირმა ინაშვილი: "ვიდეომასალა მე მოვიპოვე"

დათო გამცსონია

სტუდია "ობიექტივის" ჟურნალისტი ირმა ინაშვილი, რომელიც ამჟამად ბრიუსელში იმყოფება, ამტკიცებს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ამსახველი ვიდეომასალა თავად მოიპოვა. **"ისტორია მაისში დაიწყო. ვანო მერაბიშვილის სახელით დამიკავშირდნენ და ეს შემზარავი ვიდეომასალა მომაწოდეს. ამის შემდეგ გავიგე, რომ არის ადამიანი, რომელმაც ეს ვიდეომასალა გადაიღო. ასევე შემატყობინეს, რომ მას საქართველო უკვე დაუტოვებია. თავისთავად საინტერესო ის ფაქტია, როგორ მოახერხა ამ მასალის გადამღებმა საქართველოს საზღვრების დატოვება,"** - ამბობს ინაშვილი. ჟურნალისტს მიაჩნია, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა და მას სამართალდამცავთა გარკვეული წრის მხარდაჭერა ჰქონდა. ირმა ინაშვილის თქმით, მაყურებელმა ამ ვრცელი ვიდეომასალიდან მხოლოდ ფრაგმენტი ნახა - დაახლოებით 10-წუთიანი ჩანაწერი. **"საათნახევრიანი ჩანაწერი კიდევ მაქვს და ეტაპობრივად გავავრცელებ,"** - აღნიშნავს ინაშვილი.

ინაშვილის ინფორმაციით, ხელისუფლება "მე-9 არხის" და "მაესტროს" წინააღმდეგ სპეცოპერაციის ჩატარებას გეგმავს. ჟურნალისტი ხელისუფლებას მიმართავს, რომ მასალა თვითონ მოიპოვა და ტელეარხები ამ საქმეში არ ჩარეულან.

ინაშვილის მტკიცებით, მასალის მოპოვებასთან შეხება არ ჰქონიათ არც თამაზ თამაზაშვილს და არც "ქართულ ოცნებას". **"სასაცილო და იდიოტობაა, პატიმარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გაკონტროლებაში დაადანაშაულო. აღარავის სჯერა იმის, რომ დეპარტამენტის მოადგილეს და ზედამხედველებს საკნიდან თამაზაშვილი აკონტროლებდა,** - აღნიშნავს ინაშვილი, - **ხელისუფლებამ გაითვალისწინოს, რომ პროცესები მხოლოდ ახლა იწყება."** მისივე თქმით, არსებობს მოწმე, რომელიც ამტკიცებს, რომ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი პირადად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

ირმა ინაშვილი ეთერში მასალის მოხვედრის გზებზეც ყვება. **"გასაგებია, რომ ჩვენ გარკვეულ სტრატეგიასა და ტაქტიკას მივმართეთ: როდესაც გიორგი ფოფხაძე პირდაპირ ეთერში ჩაერთო, მასალა "მე-9 არხის" ეთერში პირდაპირ იგზავნებოდა, ისე რომ არხის თანამშრომლებმა არც კი იცოდნენ, რომ მათ მასალას ფოფხაძე აწვდიდა. ამავდროულად. შალვა რამიშვილისაც ერთ-ერთმა პიროვნებამ მიუტანა მასალა, მაგრამ ეს ჩვენი მიწოდებული მასალა იყო,"** - განაცხადა ინაშვილმა.

"მე-9 არხის" კორესპონდენტი გიორგი ფოფხაძე ადასტურებს, რომ მან ირმა ინაშვილისგან მიიღო ინფორმაცია და შემდეგ, ამ მასალის გადამღებ, ამჯამად საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფ ლადო ბედუკაძესთან ერთად, ევროპარლამენტს, ევროკომისიას, არასამავრობო ორგანიზაციებს, წამების კომიტეტს გააცნო. ბრიუსელის დროით დილის 6 საათზე, "მე-9 არხის" ეთერში ჩართვისას, ფოფხაძის კოლეგამ მერაბ ბლადაძემ აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში ლადო ბედუკაძე მასთან ცხოვრობდა.

ლადო ბედუკაძე ყვება

ინაშვილის, ფოფხაძისა და ბლადაძის გარდა, ქართულ მედიაში გამოჩნდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი მორიგე ინსპექტორი ლადო ბედუკაძე, თუმცა მასთან საუბარი გუშინ მხოლოდ ტელეფონითა და "სკაიპით" შეძლეს. ბედუკაძე ამტკიცებს, რომ მკვლელობისა და გაუპატიურების ამსახველი მასალები ბაჩო ახალაიას სეიფში ინახება, გავრცელებული კადრები კი დაწუნებული მასალაა, რომელიც ახალაიასთვის ღირებული არ იყო.

ბედუკაძე სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ზოგად მდგომარეობასაც აღწერს. **"მას შემდეგ, რაც 2005 წელს ახალაია დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა, ციხეები მისი მეთოდებით იმართება: კარანტინს მასობრივი ცემით შლიან, რასაც პატიმრებმა წითელი პარასკევი დაარქვეს. ამასთან, თვითონ ახალაია არაფხიზელ მდგომარეობაში შედიოდა და აწამებდა პატიმრებს. სააკაშვილის კრიმინალური ხროვა პატიმრებს ყოველდღიურად სისხლიან დღეებს უწყობდა,** - ყვება ბედუკაძე, - **ის, რასაც ციხის პირველი ბუნტი დაარქვეს, ახალაიას პროვოცირებული იყო. სპეცრაზმი ძირითადი ბირთვი იყო, რომლითაც ახალაია ნებისმიერი დარბევის დროს მანიპულირებდა. ნებისმიერი მიტინგის დასარბევად, პირველ რიგში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმი გადიოდა."**

„პატიმართა საქმის„ განხილვას სასამართლო ორ თვეში დაიწყებს

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ ჟურნალისტების განსაკუთრებული სიმრავლე იყო. გუშინ სასამართლომ მთავარი პროკურატურის შეამდგომლობა განიხილა და პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულ ციხის 10 თანამშრომელს 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა.

თქვენ არღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას, ლახავთ ადამიანის უფლებებს, - პატიმართა სასტიკ მოპყრობაში, სექსუალურ ძალადობასა და წამებაში ერთ-ერთი ბრალდებულის ოჯახის წევრის რისხვა გუშინ ჟურნალისტებმა დაიმსახურეს.

სასამართლო პროცესს 10-დან 9 ბრალდებული დაესწრო, მხოლოდ ერთმა - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გაგა მკურნალიძემ სასამართლო პროცესზე დასწრებაზე უარი განაცხადა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სამი ბრალდებულის ადვოკატების შუამდგომლობა, დაკავებულთა გირაოთი გათავისუფლების თაობაზე. ადვოკატთა განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფები არ დატოვებენ ქვეყნის ტერტორიას და ითანამშრომლებენ გამოძიებასთან. თუმცა, მოსამართლემ ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგანაც, მისი განმარტებით, სახეზეა ძალადობრივი ხასიათის დანაშაული და დაკავებულთა გირაოთი გათავისუფლება შექმნის საშიშროებას, რომ ისინი მტკიცებულებებს გაანადგურებენ და მოწმეებს ჩვენებებს შეაცვლევინებენ.

საბოლოოდ, სასამართლომ დაკმაყოფილა მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულებს ბორის ფარულავას, გაგა მკურნალიძეს, დავით ხუჭუას, მანუჩარ ლომთაძეს, გიორგი კვარაცხელიას, ლევან ფურცხვანიძეს, ლევან ფხალაძეს, ოლეგ ფაცაციას, ვიქტორ ყაჭეიშვილს, კობა ჩიკვატიასა და გურამ ცომაიას პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლის განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულებს ბრალად ედებათ განზრახი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენა, რომელიც ატარებდა ძალადობრივ ხასიათს, რის გამოც, არსებობს ბრალდებულთა მხრიდან მიმალვის, მათ მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის, ასევე, მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება.

10-დან სამ ბრალდებულს ბორის ფარულავას, ლევან ფურცხვანიძეს, დავით ხუჭუას, მანუჩარ ლომთაძეს, გიორგი კვარაცხელიას, ლევან ფხალაძეს, ოლეგ ფაცაციას, ვიქტორ ყაჭეიშვილს, კობა ჩიკვატიასა და გურამ ცომაიას პატიმრობა შეუფარდა.

ბრალად ედებათ წამება, ესე იგი პირისათვის ისეთი პირობების შექმნა და ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, მორალურ და ფსიქიკურ ტანჯვას და რომლის მიზანია პირის დაშინება.

პატიმრობა შეეფარდა გუშინ დაკავებულ გლდანის საპყრობილის არასრულწლოვანთა განყოფილების ინსპექტორ კობა ჩიკვატიასაც, რომელიც ასევე, წამებაშია ბრალდებული.

პატიმართა ცემა-წამების, არაადამიანური მიპყრობისა და სექსუალური ძალადობის ფაქტზე გამოძიება გრძელდება და როგორც სასამართლო პროცესის შემდეგ პროკურორმა შოთა ტყეშელაშვილმა განაცხადა, საზოგადოებისთვის საქმის ახალი დეტალები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლო საქმის განხილვას 8 ნოემბერს დაიწყებს.

უწყვეტი ძალადობა სირიაში

პირველი გვერდიდან

პარალელურად კი ცნობილი გახდა დამასკოსა და ალეპოში შეტაკებების შესახებ, რაც სირიის სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებმა შეაფასეს, როგორც ამბოხებულთა შევიწროება საზღვრების მიმართულებით. თუმცა, ოპოზიციონერები იუწყებიან, რომ ამბოხებულებმა მორიგ წარმატებას მიაღწიეს და თურქეთის საზღვართან ახლოს ახალ საბაჟო პუნქტზე კონტროლის დამყარება მოახერხეს. ამბოხებულებმა ოფიციალური დროშა და ბაშარ ალ-ასადის გამოსახულებით პლაკატი ჩამოხიეს. აქჩაკალის საბაჟოზე რეგულარულ არმიასთან შეტაკებები დილით დაიწყო და მას მსხვერპლიც მოჰყვა. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობის" ცნობით კი, საარტილერიო და ავიაიერიშების შედეგად მკვეთრად იმატა მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობამ, განსაკუთრებით ეს იდლიბისა და ჰამას პროვინციებში დაფიქსირდა. გუშინ, მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია ქვეყნის ჩრდილოეთში, რაკას პროვინციაში განხორციელებული ავიადარტყმის შესახებ. თვითმფრინავიდან ნასროლი რაკეტით აფეთქდა ბენზინგასამართი სადგური, რასაც შეეწირა 54 ადამიანი, დაახლოებით 60 კი დაიჭრა. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ლონდონში ბაზირებულმა სირიულმა ორგანიზაციამ "ადამიანის უფლებებზე დაკვირვების სირიულმა ცენტრმა."

პარალელურად, გამჟღავნდა სირიის პრეზიდენტის გეგმები ქიმიური იარაღის გამოყენების თაობაზე. ამის შესახებ საჯაროდ ისაუბრა გაქცეულმა სირიელმა გენერალმა, რომელიც წარსულში პასუხს აგებდა ქიმიური იარაღის შენახვის უსაფრთხოებაზე. გენერალ ადნან სილუს აღიარება "ტაიმსმა"-მა გამოაქვეყნა. გენერლის თქმით, პრეზიდენტი ქიმიური იარაღის გამოყენებას სირიის თავისუფალი არმიის წინააღმდეგ გეგმავდა, რასაც მსხვერპლი, სავარაუდოდ, მშვიდობიან მოსახლეობაშიც მოჰყვებოდა. მისივე თქმით, სირიის მმართველი რეჟიმი მასობრივი განადგურების იარაღით "ჰეზბოლას" ტერორისტებსაც ამარაგებს, რომელიც მის გამოყენებას ისრაელის წინააღმდეგ აპირებს. ადნან სილუ სირიიდან სამი თვის წინ გაიქცა. გაქცეული გენერლის სიტყვებმა, რომელიც მოგვიანებით "The Telegraph"-მა და "Newsru.Israel"-მაც გაავრცელა, მშვიდობიანი საზოგადოების შეშფოთება დაადასტურა. ცოტა ხნის წინ გაირკვა ისიც, რომ სირიის არმიამ ქიმიური იარაღის გამოცდა ირანის მხარდაჭერითა და მეთვალყურეობის ქვეშ ჩაატარა.

სირია უკვე დატოვა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის დამ, რომელმაც ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს მიაშურა. ამის შესახებ ინფორმაცია ტელეკომპანია "ალ-არაბიამ" გაავრცელა, როდესაც ცნობილი გახდა, როგორ მიიყვანა მან ბავშვები დუბაის ერთ-ერთ სკოლაში. ბუშრი ასადის მეუღლე ასეფ შაუქათი, რომელსაც გენერალური შტაბის ხელმძღვანელის მოადგილის პოსტი ეკავა, რამდენიმე თვის წინ ტერაქტისას დაიღუპა. "ალ-არაბიას" წყაროს მტკიცებით, ბუშრი ასადის გაქცევა ალავიტების გავლენიან რელიგიურ საზოგადოებაში "კვაზი-გადატრიალებას" უკავშირდება. ასადის მომხრეები, როგორც ჩანს, შიშობენ, რომ მათ სამხედრო დანაშაულებისთვის პასუხს უკვე მალე მოსთხოვენ უმკაცრესი ფორმით. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს, შეეკრან ოპოზიციურ ჯარებს, რათა დაამხონ სირიის მმართველი რეჟიმი. ამიტომაც, ბუშრიმ თავს გაქცევით უშველა, რადგან შეეშინდა, რომ ალავიტები, რომლებიც მისი მეუღლის ბრძანებით მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდნენ, მას და მისი შვილების სიცოცხლეს შეუქმნიდნენ უკვე საფრთხეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადებით, სირიას პოლიტიკური დიალოგი სჭირდება და იარაღის ძალით კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია. "ვფიქრობ, სამხედრო საშუალებებით მოქმედება საკითხს ვერ გადაჭრის. საჭიროა პოლიტიკური დიალოგი," - განაცხადა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა. სირიაში ამ დრომდე მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო მწუხარება ბან კი მუნმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე გამოთქვა.

პალესტინელები ოსლოს ხელშეკრულებიდან გამოსვლაზე დაფიქრდნენ

ივა შილაკაძე

პალესტინის ავტონომიის ხელისუფლება ფიქრობს, გამოვიდეს იმ სამშვიდობო შეთანხმებიდან, რომელსაც, საერთაშორისო შუამავლების მეშვეობით, ხელი ნორვეგიის დედაქალაქში ისრაელთან მოაწერეს. ისრაელის გაზეთ "ჰაარეცის" თანახმად, ამის შესახებ პალესტინელთა მხრიდან მთავარმა მომლაპარაკებელმა საებ ერეკატმა განაცხადა. იგივე ინფორმაცია გაავრცელა ლონდონში არაბულ ენაზე გამომავალმა გაზეთმა "აშ-შარკ ალ-აუსატმა".

საებ ერკატი ამტკიცებს, რომ ისრაელმა ყველაფერი გააკეთა, რომ ხელი შეეშალა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. თუმცა იქვე დასძინა, რომ ეს გადაწყვეტილება პალესტინელებისთვის ადვილი მისაღები არ იქნება. პალესტინელთა ლიდერები მიიჩნევენ, რომ შეთანხმებაზე უარის თქმის შემდეგ დაიწყება ახალი პოლიტიკა, ამას გარდა, გამყარდება პალეტინის ავტონომიის ადმინისტრაცია და სახელმწიფო ინსტიტუტები. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დაგეგმილია ავტონომიის პრეზიდენტის მაჰმუდ აბასის ნიუ იორკიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ის მონაწილეობას იღებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში (ყოველწლიური ასამბლეა გუშინ გაიხსნა).

ოსლოს სამშვიდობო ხელშეკრულებას მხარეებმა მრავალწლიანი შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ ხელი 1993 წელს მოაწერეს და ამას საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესისთვის. მაშინ ამისთვის ისრაელის პრემიერმა იცხაკ რაბინმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა (ამჟამად პრეზიდენტმა) და პალეტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელმა იასირ არაფატმა ნობელის პრემია მიიღეს. თუმცა მოგვიანებით ამას შეეწირა რაბინის სიცოცხლეც - ის მარტოხელა ტერორისტმა მოკლა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევისთვის გაცილებით უკეთ არის მზად ისრაელი. ოფიციალურმა იერუსალიმმა ამისთვის მზადება 2011 წლის ზაფხულში დაიწყო. შარშან ისრაელში თვითონ აპირებდნენ ოსლოს ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გამოსვლას და ეს მიიჩნეოდა პასუხად პალესტინის ავტონომიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებაზე და ამ ტერიტორიის გაერო-ს წევრად შესაძლო მიღებაზე. ისრაელის ხელისუფლება აღნიშნავდა, რომ ოსლოს ხელშეკრულების შეწყვეტას შეუძლია, მთლიანად მოშალოს პალესტინის ადმინისტრაციის მუშაობა. პალესტინამ შეიძლება დაკარგოს ფინანსური სახსრების მიღების წყაროები. გადასახადებს და საბაჟო მოსაკრებელს იღებს ისრაელი და შემდეგ აძლევს ამ თანხას პალესტინის ავტონომიას.

პალესტინელების მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციას გუშინ მოჰყვა მსოფლიო ბანკის მოხსენების გამოქვეყნება, რომელიც პალესტინის ავტონომიას ეკონომიკურ კრიზისს უწინასწარმეტყველებს. ავტონომიის ვალი 2 მილიარდ დოლარს აღწევს, ის ძალიან არის დამოკიდებული უცხოურ დახმარებაზე. რიგმა დონორებმა, მათ შორის, აშშ-მ და არაბული სახელმწიფოების ნაწილმა ვერ შეასრულეს დაპირებები და არ გადაურიცხეს პალესტინის ავტონომიას წინასწარ შეთანხმებული თანხა. პალესტინელებს ეკონომიკურ წინსვლაში ხელს უშლის "ოკუპირებული" მდგომარეობაც, თუმცა ისრაელი ამ ოკუპაციას არ აღიარებს.

ნალჩიკსა და ნაზრანში კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი შემოიღეს

ინგუშეთის ყოფილ დედაქალაქ ნაზრანსა და ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში გუშინ კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი შემოიღეს. თავდაპირველად განსაკუთრებული რეჟიმი ნალჩიკში გამოცხადდა. ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, აღნიშნული რეჟიმის შემოღებას წინ უძღოდა ორმხრივი სროლა შეიარაღებულ მებრძოლებსა და სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის. ადგილობრივების განცხადებით, რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში ინტენსიური სროლების ხმა ისმოდა.

რაც შეეხება ნაზრანს, ინგუშეთის ოპერატიული შტაბის ცნობით, ამ ქალაქში საგანგებო რეჟიმის შემოღება უკავშირდება გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, "ქალაქში შეიარღებული მებრძოლები იმყოფებიან."

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლიბიაში ჩავიდა

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბარნსი დღეს ტრიპოლიში ჩავიდა. ერთი კვრის წინ ბენღაზიში ამერიკის საკონსულოზე მიტანილ იერიშს ამერიკის ელჩი კრისტოფერ სტივენსი ემსხვერპლა. ბარსნი ლიბიაში ქვეყნის პრემიერ-მინისტრ მუსტაფა აბუ შაგურს და ეროვნული კონგრესის თავმჯდომარეს მოჰამედ მაგირაფს შეხვდება. იგი სტივენსის ხსოვნის ცერემონიასაც დაესწრება.

სტივენსი და კიდევ სამი ამერიკელი საელჩოზე განხორციელებულ თავდასხმას ემსხვერპლნენ, როდესაც საელჩოს წინ შეკრებილები წინასწარმეტყველ მუჰამედზე გადაღებულ ფილმს აპროტესტებდნენ. გუშინ კონგრესს კონტრტერორიზმის დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა განუცხადა, რომ საკონსულოზე "ტეროტისტული თავდასხმა" განხორციელდა, რომელსაც შესაძლოა, "ალ კაიდასთან" ჰქონდეს კავშირი.

აუნ სან სუ ჭის აშშ კონგრესის ოქროს მედალი გადასცეს

ბირმის (მიანმის) ოპოზიციის ლიდერს, აუნ სან სუ ჯის ვაშინგტონში საზეიმოდ გადასცეს ამერიკის კონგრესის ოქროს მედალი. ეს ჯილდო მას 2008 წელს მიანიჭეს, მაგრამ გადაცემა მხოლოდ ახლა მოხერხდა. ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ქალბატონი აუნ სან სუ ჯი 1990-დან 2011 წლამდე ძირითადად შინაპატიმრობაში (პერიოდულად კი ციხეშიც) იმყოფებოდა და, ცხადია, ქვეყნის დატოვება არ შეეძლო. კონგრესის ოქროს მედალი ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოა. ამის შემდეგ ის მიიღო აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც. პარალელურად, აშშ-მ გააუქმა სანქციები ბირმის ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტ ტეინ სეინის და პარლამენტის სპიკერის შვე მანის მიმართ (ეს უკანასკნელი სამხედრო ხუნტის მმართველობის დროს სახელმწიფოში მესამე პირად მიიჩნეოდა). ბირმის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები შეარბილეს ევროკავშირმა, ავსტრალიამ და რამდენიმე სხვა ქვეყანამაც. სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც ორი წლის არჩეულია და რომლის უკანაც სამხედროები დგანან, ბოლო წლებში დემოკრატიულ რეფორმებს ატარებს, რაც მათ დაუფასეს კიდეც. მაგალითად, მხოლოდ წელს მისცეს აუნ სან სუ ჯის პარტიას დეპუტატების გამოთავისუფლებულ ადგილებზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამ უკანასკნელებმა 45-დან 43 მანდატი მოიპოვეს (მათ შორის, თვით პარტიის) ლიდერმაც და პარლამენტში მცირერიცხოვანი ფრაქციაც აქვთ. აუნ სან სუ ჯიმ მხოლოდ წელს შეძლო ნობელის პრემიის მიღებაც, რომელიც მას ასევე მრავალი წლის წინ მიანიჭეს.

"ირანი სირიას ერაყის გავლით ამარაგებს"

ირანი სირიას, უფრო კონკრეტულად კი, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს იარაღს ერაყის ტერიტორიის გავლით აწვდის, - აღნიშნულის შესახებ "როიტერმა" დასავლეთის დაზვერვის მოხსენებისაგან შეიტყო. ჯერ კიდევ ამ თვის დასაწყისში ამერიკის მაღალჩინოსნები აცხადებდნენ, რომ ისინი აპირებდნენ, ერაყის ხელისუფლებისთვის მიემართათ კითხვით: იყენებს თუ არა ირანი მათი ქვეყნის საჰაერო სივრცეს სირიის რეჟიმის დასახმარებლად. გუშინ ამერიკელმა სენატორმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ აუცილებლად გადახედავენ ბაღდადისათვის დახმარების გაცემას, თუ ეს ქვეყანა მსგავს ფრენებს არ აკრძალავს.

ერაყი, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ მისი ქვეყნის საჰაერო სივრცეს იარაღის გადასატანად არავინ იყენებს. თუმცა, მოხსენებაში საუბარია, რომ ერაყის ტერიტორიის გავლით ირანი დიდი რაოდენობით შეიარაღებას მიაწვდის ასადის რეჟიმს. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება ერაყის პრემიერ-მინისტრმა ნური ალ-მალიკმაც გააკეთა: "ერაყი უარყოფს ამ უსაფუძვლო ბრალდებას, თითქოს ირანი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას სირიის შეიარაღებისათვის იყენებს," - აღნიშნავს პრემიერი.

ყარზაიმ ათი გუბერნატორი გაათავისუფლა

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ავღანეთის პროვინციების ათი გუბერნატორი თანამდებობებიდან გაათავისუფლა. გათავისუფლებულ გუბერნატორებს შორის არის გილმენდის პროვინციის გუბერნატორი გულაბ მანგალი, რომელიც ავღანეთში ბრიტანული ჯარების მოკავშირედ მიიჩნეოდა. ქაბულში ბრიტანეთის საელჩომ განაცხადა, რომ ის უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა. მის ადგილს გენერალი ნაიმ ბალოხი დაიკავებს, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, პრეზიდენტ ყარზაისთან მჭიდრო კავშირები აქვს.

მოამზადა თამთა კახაძემ

გარდაიცვალა კინოპროდიუსერი ლევან კორინთელი

მოსკოვში კინოპროდიუსერი ლევან კორინთელი გარდაიცვალა. ლევან კორინთელი დაიბადა 1971 წელს თბილისში. იგი იყო კინოთეატრ "ამირანის" თანამფლობელი. ასევე კინოსტუდია "რემკასა" და "დამოუკიდებელი კინოპროექტის" თანადამაარსებელი.

ლევან კორინთელი არის პოპულარული ქართული ფილმების პროდიუსერი. ფილმოგრაფია: 2003 - მოგზაურობა ყარაბაღში (რეჟისორი ლევან თუთბერიძე); 2007 - რუსული სამკუთხედი (რეჟისორი ალეკო ცაბაძე) ჟიურის სპეციალური პრიზი მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რუსეთის კინოაკადემიის ჯილდო "ნიკა" საუკეთესო უცხოენოვანი ფილმისათვის; 2008 - სამი სახლი (რეჟისორი ზაზა ურუშაძე); 2009 - კონფლიქტის ზონა (რეჟისორი ვანო ბურდული) პრიზი საუკეთესო დებიუტისათვის მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე; 2010 - ქუჩის დღეები (რეჟისორი ლევან კოღუაშვილი) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული ფილმების ფესტივალის goEAST (ვისბადენი, გერმანია) მთავარი პრიზი - ოქროს შროშანი, პალიჩის (სერბეთი) ევროპული ფილმების ფესტივალის პრიზი ტოლერანტობისათვის, იასის (რუმინეთი)კინოფესტივალის გრან პრი საუკეთესო ფილმისათვის, ფილმი ნაჩვენები იქნა როტერდამის, ლოს ანჯელესის, ედინბურგის, სან პაულოს, გოტებორგის, მონრეალისა და მოსკოვის კინოფესტივალებზე.2010 - რენე მიდის ჰოლივუდში (რეჟისორი ალეკო ცაბაძე); 2011 - მარილივით თეთრი (რეჟისორი ქეთი მაჭავარიანი).

ჯი-ეიჩ-ენი

"ჩვენებურები" ლევილში

22 სექტემბერს ანსამბლი "ჩვენებურები" ლევილში (საფრანგეთი) ქართული სათვისტომოს 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. "ჩვენებურები" შეასრულებს საკუთარ რეპერტუარს და "შეფიცულთა" სიმღერას, რომელიც დაიწერა მეტეხის ციხეში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი სიკვდილმისჯილი ქართველი მეომრების მიერ 1924 წლის აჯანყების მოვლენებთან დაკავშირებით. სიმღერა "ჩვენებურების" წევრებს შეასწავლა საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა ემიგრანტმა ოთარ პატარაიძემ, რომელიც 1962 წლიდან საფრანგეთში ხელმძღვანელობდა ემიგრანტი ქართველებისგან შემდგარ ფოლკლორულ ანსამბლს "მერანი".

ღონისძიების ფარგლებში "ჩვენებურები" გეგმავს ანსამბლ "მერანის" წევრებთან ერთად შეასრულოს რამდენიმე სიმღერა მათი რეპერტუარიდან.

ჯი-ეიჩ-ენი

გრიბოედოვის თეატრში საბალეტო სეზონი პრემიერით გაიხსნება

28 სექტემბერს, 19:00 საათზე, ა.გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში საბალეტო სეზონი სპექტაკლის - "ეს თავდაყირა სამყარო" - პრემიერით გაიხსნება. ასევე წარმოდგენილი იქნება: "ქრონოს კვარტეტი", "წამი გარდასახვამდე" და "ანარეკლი". ბალეტის "ეს თავდაყირა სამყარო" ქორეოგრაფი თრეი მაკინტაერია, მუსიკა - The Shins, დამდგმელი ბალეტ მაისტერი კი ტრეივის უოკერია.

ქორეოგრაფი თრეი მაკინტაერი დღესდღეობით მსოფლიოში თანამედროვე ქორეოგრაფებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. მისი შემოქმედეება 90-ზე მეტი საბალეტო დასის სპექტაკლისგან შედგება. 2005 წელს თ. მაკინტაერმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დადგა ბალეტი "ზაფხულის ღამის სიზმარი".

სპექტაკლის "ეს თავდაყირა სამყარო" პრემიერა შედგა Trey McIntyre Project-ში 2011 წლის 12 აგვისტოს, ვეილის ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე (კოლორადოს შტატი, აშშ).

ჯი-ეიჩ-ენი

3-9 დეკემბერს თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართება

3-9 დეკემბერს თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი კინოთეატრ "ამირანში" და "რუსთაველში" გაიმართება. კინოფესტივალის მთავარი მიზანია, წარმოადგინოს მსოფლიო და ქართული კინემატოგრაფის საუკეთესო ნამუშევრები, მაყურებელს გააცნოს ახალი, მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე კინოპროდუქცია და ხელი შეუწყოს ქართული კინოინდუსტრიის განვითარებას.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა კულტურის სფეროში. გასული 12 წლის განმავლობაში ფესტივალმა 500-მდე რეჟისორს, მსახიობს, პროდიუსერს, კინომცოდნეს და სხვა პროფესიონალს უმასპინძლა. ამ წლების განმავლობაში ფესტივალის სტუმრები იყვნენ ისეთი ცნობილი კინომოღვაწეები, როგორებიც არიან ბობ რაფელსონი, ფრანკო ნერო, ლეოს კარაქსი, კშიშტოფ ზანუსი, მიკა კაურისმეკი, ბრუნო დიუმონი, ჰიუ ჰადსონი, მარიამ დ'აბო, გრეტა სკაკი, ჩულპან ხამატოვა, ჯაფარ პანაჰი და სხვები.

ფესტივალის ორგანიზატორია კინოხელოვნების ცენტრი "პრომეთე". ფესტივალის მთავარი პარტნიორია ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალის ორგანიზატორებს მუდმივად უწევენ კონსულტაციას ბერლინალეს "ფორუმის" დამაარსებლები ერიკა და ულრიხ გრეგორები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო კინოფესტივალების დირექტორები, ცნობილი მსახიობები, პროდიუსერები და ამ სფეროს აღიარებული პროფესიონალები.

ჯი-ეიჩ-ენი

რას ნიშნავს მუზეუმი დღეს?

პირველი გვერდიდან

ლონდონის "ბრითიშ მუზეუმის", ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმის, ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუციასა და აზიის მუზეუმებში. კონფერენციას ესწრებოდნენ მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების დირექტორები და კურატორები, მეცნიერები, მენეჯერები და არქიტექტორები. ყურადღება დაეთმო მუზეუმების მდგომარეობას სამხრეთ კავკასიისა და პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი რეგიონალური მნიშვნელობის მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება იქცეს პოსტსაბჭოთა მუზეუმი თანამედროვე, ინოვაციურ, შემოქმედებით და დამთვალიერებლებისთვის საინტერესო ინსტიტუციად, რომელიც აქტიურადაა ჩართული ქალაქის ურბანულ და სოციალურ ცხოვრებაში. პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები 2010 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული "თვინინგის" პროექტის ფარგლებში.

გამოფენა "სამუზეუმო კუნძული ბერლინში - თბილისის სამუზეუმო უბანი - წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა" ამ ორ ქალქში მდებარე ისტორიულ-სამუზეუმო ქსელს წარმოგვიდგენს. გამოფენის მიზანი იმ სირთულეებისა და ამოცანების წარმოჩენაა, რომლის წინაშეც დგას ბერლინისა და თბილისის მუზეუმები. კერძოდ, კოლექციების დაცვა, ინტერპრეტაცია და მათი გამოფენა ახლადაშენებულ თუ ისტორიულ შენობებში.

გრაფიკული მასალის, ფილმის, ფოტოების, ტექსტებისა თუ ნივთების დახმარებით დამთვარიელებელს წარმოდგენა ექმნება ბერლინის სამუზეუმო კუნძულისა და თბილისის სამუზეუმო უბნის შესახებ.

სამუზეუმო უბანი ჩვენს დედაქალაქში პუშკინის სკვერიდან იწყება, სადაც ხელოვნების მუზეუმია განთავსებული, გუდიაშვილის ქუჩას მიუყვება, გუდიაშვილის მუზეუმითა და ეროვნული ბიბლიოთეკის შენობებით და რუსთაველის პროსპექტზე ადის, სადაც ჯანაშიას სახელობის მუზეუმი და ეროვნული გალერეა ერთ ხაზს ქმნიან. უბანს ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მდებარე ლიტერატურის მუზეუმი ამთავრებს.

თბილისის სამუზეუმო უბანზე ფიქრი ქართველმა არქიტექტორებმა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყეს. მაშინ არქიტექტქორმა ვლადიმერ ქურთიშვილმა სამუზეუმო ქუჩის განვითარების გეგმა შექმნა. ვლადიმერ ქურთიშვილს პროექტი მე-19 საუკუნის გამოძახილი იყო: როცა კავკასიის მუზეუმის აშენება დაიგეგმა, სადაც ახლა ჯანაშიას სახელობის მუზეუმია განთავსებული, მის მოთავეებს სურდათ, რომ იგი თბილისის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი გამხდარიყო. სამუზეუმო ქუჩის იდეა ხელახლა 2006 წელს გაცოცხლდა, მას შემდეგ რაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახით ახალი ინსტიტუცია ჩამოყალიბდა. მისი დაკვეთით ფრანგულმა არქიტექტურულმა სტუდიამ - Studio Milou Architecure სამუზეუმო ქუჩის განვითარების გეგმა დაამუშავა. ახალი გეგმის მიხედვით, მუზეუმებს ერთმანეთთან საფეხმავლო და საზოგადოებრივი სივრცე აკავშირებს - ეს ალექსანდროვის ბაღი თუ გუდიაშვილის საფეხმავლო ქუჩაა.

გამოფენა ქართულმა მხარემ სამ ნაწილად წარმოადგინა: პირველი ნაწილი ფოტომასალის დახმარებით გუდიაშვილის ქუჩისა და რუსთაველის გამზირის ჩამოყალიბების ისტორიას მოგვითხრობს, ასახულია შენობები ძველი და ახალი ფუნქციით, მეორე ნაწილში განსაზღვრული სამუზეუმო უბნის ფუნქცია ქალაქის ურბანულ ქსოვილში, ხოლო მესამე ნაწილი წარმოადგენს ამ უბნის განვითარების გეგმებს, როგოც ადრეული, ასევე თანამედროვე კონცეფციით.

"გამოფენის მიზანი იყო გვეჩვენებინა, რა კავშირები შეიძლება დამყარდეს თბილისის სამუზეუმო უბანში არსებულ მუზეუმებს შორის და წარმოგვეჩინა ამ უბნის მნიშვნელობა ქალაქის ცხოვრებაში. ამ კონტექსტში ხაზი გავუსვით რუსთაველისა და გუდიაშვილის ქუჩების დაკავშირების აუცილებლობას და საფეხმავლო-საზოგადოებრივი სივცეების შექმნას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გამოფენა ბერლინის სამუზეუმო კუნძულთან დიალოგში განხორციელდა, რადგან მათგან გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის მართლაც ბევრის მომცემია მუზეუმებს შორის საერთო საზოგადოებრივი სივრცეებისა თუ საცავების დაგეგმვის თავლსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია ის პარალელები, თუ რა როლი აკისრია სამუზეუმო კუნძულს ბერლინის ცხოვრებაში და სამუზეუმო უბანს - ჩვენს დედაქალაქში», - ამბობს გამოფენის ქართული მხარის კურატორი ნანა მეფარიშვილი.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სტანდარტებით გარემონტებული ჯანაშიას მუზეუმი და ეროვნული გალერეა გაიხსნა, ხოლო გუდიაშვილის ქუჩაზე თანამედროვე საცავის რესტავრაცია - რეკონსტრუქციის ცენტრის მშენებლობა დაიგეგმა, შეიძლება ითქვას, სამუზეუმო უბნის განვითარების გეგმა ახალ საფეხურზე გადავიდა.

ბიჭუნა დენი სასტუმრო "ოვერლუქის" შემდეგ

სტივენ კინგის ახალი რომანი მომავალ წელს გამოვა

ია ვეკუა

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, უფრო კონკრეტულად კი მომავალი წლის 24 სექტემბერს, სტივენ კინგის ლიტერატურის თაყვანიმცემელი ამ მწერლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოების, "ნათების" სიკველს მიიღებს. ამ რომანზე მუშაობის შესახებ კინგმა ჯერ კიდევ 2009 წელს გააკეთა განცხადება, სამი წლის შემდეგ კი მზადაა, დანამდვილებით თქვას, რომ ნაწარმოები პრაქტიკულად დასრულებულია და გამომცელობაც შერჩეული აქვს. ასევე ერთი წლის წინ კინგმა ახალი, ჯერ კიდევ დამუშავების პროცესში მყოფი რომანის ფრაგმენტი წაიკითხა და როგორც შემდგომში მკითხველთა კომენტარებიდან გაირკვა, ფრაგმენტმა მათზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მთლიანი წიგნი კი, თავისთავად, უკეთესი იქნებაო.

სტივენ კინგის ახალ რომანს "ექიმი ძილი" (Doctor Sleep) ჰქვია, ხოლო მისი პროტაგონისტი "ნათების" მთავარი გმირის, ჯეკ ტორენსის შვილი, დენი ტორენსია. ეს სწორედ ის დენია, რომელმაც მშობლებთან ერთად გაატარა ზამთრის რამდენიმე თვე სასტუმრო "ოვერლუქში" და საკუთარი თვალით იხილა სისხლის წარმოსახვითი მდინარეები, ტყუპი გოგონების მოჩვენება და ნაჯახით შეიარაღებული შეშლილი მამა.

როგორც თავად კინგი ამბობს, "ექიმ ძილში" დენი ტორენსი ძველი ფსიქოლოგიური ტრავმისგან მეტნაკლებად განთავისუფლებული მამაკაცია, თუმცა ნათების თვისება შემორჩენილი აქვს. ამჯერად დენის დენიელი ჰქვია, ის 40 წლისაა, ნიუ იორკის შემოგარენში ცხოვრობს და ადამიანებს სიკვდილთან მიახლოვებაში, გარდაუვალ გარდაცვალებასთან შეგუებაში ეხმარება, რისთვისაც ნათებას იყენებს. რომანში მისი და 12 წლის გოგონას ურთიერთობას მივადევნებთ თვალს. გოგონას, დენიელის მსგავსად, ნათების თვისება გააჩნია, რის გამოც მაზე არც თუ კარგი განზრახვის მქონე ადამიანები ნადირობენ. "ექიმ ძილის" კოშმარი სწორედ ამ ნადირობის ფონზე ვითარდება.

ჯერ ნაწარმოები წიგნის სახითაც არ არსებობს, მაგრამ ჰოლივუდი უკვე დაინტერესდა მისი ეკრანიზაციით, რაც სულაც არ გახლავთ გასაკვირი, რადგან სტივენ კინგი ყველზე მეტჯერ ეკრანიზებული ავტორია. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების რაოდენობა 70-ს აღწევს, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმეა ისეთი, რომლებმაც არა მხოლოდ კინგს, არამედ მათ ავტორებსაც მოუტანა პოპულარობა. რომანი "კერი" პირველი იყო, რომლის კინოვერსიაც მაყურებელმა ნახა (1976 წელი, რეჟისორი ბრაიან დე პალმა), ამჯამად კი ამ ნაწარმოებს ხელმეორედ იღებს კიმბერლი პირსი, რომელსაც ალბათ ძალიან გაუჭირდება დე პალმას ნამუშევრის დაჩრდილვა. უკვე ნახსენები "ნათების" ეკრანიზაცია კი 1977 წელს სტენლი კუბრიკმა განახოციელა და ეს ფილმი უდავოდ იმსახურებს განსაზღვრებას - "ფილმი ნაწარმოებს ჯობს". 80-იან წლებში სტივენ კინგის ნაწარმოებებს ერთმანეთის მიყოლებით იღებდნენ ფრენკ დარაბონტი ("ქალი ოთახში"), დევიდ კრონენბერგი ("მკვდარი ზონა"), ჯონ კარპენტერი ("კრისტინა") და რობ რაინერი ("დარჩი ჩემთან"). ამ უკანასკნელის გადაღებულია 1990 წელს გამოსული არაჩვეულებრივი "მიზერიც", ხოლო 1994 წელს იმავე ფრენკ დარაბონტმა პორტალ imdb.com-ის მარადიული პირველადგილოსანი, "გაქცევა შოუშენკიდან" გადაიღო. დარაბონტი სტივენ კინგის ლიტერატურას მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა და ძალიან კარგი "მწვანე ბილიკი" გადაიღო, მანამდე კი მაყურებელმა ბრაიან სინგერის "ნიჭიერი მოსწავლე" ნახა. 2007 წელს ფრენკ დარაბონტს ისევ გაახსენდა კინგი და "ბურუსი" გადაიღო, რომლის ფინალიც მაყურებელს ალბათ სამუდამო კოშმარად დაამახსოვრდა (აღსანიშნავია, რომ თავად რომანს შედარებით ბედნიერი ფინალი აქვს).

როგორც გითხარით, ამჟამად მაყურებელი "კერის" მორიგი ეკრანიზაციის მოლოდინშია, რომელშიც მთავარ როლებს ქლო მორეცი და ჯულიანა მური ასრულებენ. ფილმის გამოსვლა მომავალ წელს იგეგმება, პარალელურად კი არ წყდება მითქმა-მოთქმა სტივენ კინგისა და რონ ჰოვარდის თანამშრომლობის შესახებ - ეს უკანასკნელი კინგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებების სერიის, "ბნელი კოშკის" ეკრანიზებას აპირებს, თუმცა პროექტი ჯერ ადგილიდან არ დაძრულა.

ქეცბაია ქართველების წინსვლით კმაყოფილია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საბოლოოდ "ფურია როხა" სოლდადომ იხსნა, თუმცა ყველამ დაინახა, რომ თემურ ქეცბაიას გუნდი ანგარიშგასაწევი ძალაა და ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები თავის სიტყვას კიდევ იტყვის. შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ქვეყანაში ფეხბურთი აშკარა აღმავლობას განიცდის. ამაზე ფიფა კოკა კოლას რეიტინგიც მიუთითებს. მარტო სექტემბრის რეიტინგში საქართველოს ნაკრები 11 საფეხურით დაწინაურდა და 86-ე ადგილზე აღზევდა. მართალია საქართველო ჯერ კიდევ შორსაა რეიტინგში თავისი საუკეთესო ადგილიდან (14 წლის წინ საქართველოს ნაკრები 42-ე პოზიციაზე იყო), თუმცა, თუ ქეცბაიას გუნდმა ასევე გააგრძელა, შესაძლოა 14 წლის წინანდელი მიღწევაც გაუმჯობესდეს.

ფიფასთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ქეცბაია ქართული ფეხბურთის რენესანსის მიზეზებზე საუბრობს. "საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებიც ნაკრებში საუკეთესო მხარეებს ავლენენ. მათ სანაკრებო წარმატება სურთ, ვინაიდან სწორედ ეს დაეხმარება ამ ახალგაზრდებს უკეთეს კლუბებში გადასვლაში. ფეხბურთელები ხვდებიან, რომ სწორედ ეროვნულ ნაკრებში წარმატებული თამაში არის მათი კარიერის კარგად განვითარების გარანტი. ამიტომაც ნაკრებში ბიჭები მაქსიმუმს აკეთებენ, რათა მომავალში მათ წარმატებას ყურადღება მიაქციონ".

ამ მხრივ, თემურ ქეცბაია თავად არის კარგი მაგალითი. საქართველოს ნაკრებში მას 49 მატჩი აქვს გამართული და 19 გოლი გატანილი. საკლუბო დონეზე კი ჯერ მოკრძალებულ "ანორთოსისში" იყო, შემდეგ ბერძნულ აეკში, იქიდან "ნიუკასლში" გადავიდა, ითამაშა "ვულვზში" და "დანდიში". პროფესიული კარიერის დასრულების შემდეგ კი "ანორთოსისის" მწვრთნელი გახდა, ამ გუნდთან უდიდეს წარმატებას მიაღწია და ბერძნულ "ოლიმპიაკოსში" მიიწვიეს. ახლა კი ის საქართველოს ნაკრების თავკაცია და 44 წლის კაცმა ნამდვილად კარგად იცის რაზეც ლაპარაკობს.

ბელორუსის ნაკრების დამარცხების წყალობით ქართველებმა რეიტინგში ათი საფეხურით წინ წაიწიეს. "ჩვენმა გუნდმა იცის, რასაც აკეთებს. ჩვენ ყველა თამაშში ბოლომდე ვიბრძვით და საწადელს ვაღწევთ. ჩვენი არ ვართ ვარსკვლავების გუნდი, ჩვენი ძალა გუნდური თამაშია", - აცხადებს ქეცბაია.

ესპანეთთან მატჩში სტადიონზე მისული გულშემატკივარი კიბეებზე იჯდა. "ფეხბურთი საქართველოში უაღრესად მნიშვნელოვანია. არსებობს ხალხი, რომლებიც მხოლოდ ფეხბურთით ცხოვრობენ. სამწუხაროდ უკანასკნელი წლების განმავლობაში გუნდი თავის ქომაგს დიდად ვერ ახარებდა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ რამდენიმე თამაშს სტადიონზე 90 ათასი ადამიანი დაესწრო. ხალხს უყვარს თავისი გუნდი და ფანები მოუთმენლად ელიან, როდის მიაღწევს საქართველოს ნაკრები დიდ წარმატებას", - აღნიშნავს ქეცბაია.

2014 წლის მუნდიალისკენ მიმავალი გზა საქართველოს ნაკრების ახალბედა კაპიტან ჯაბა კანკავასთვის და კომპანიისთვის ძალიან რთული იქნება. ესპანეთთან და ბელარუსთან ერთად საქართველოს საფრანგეთთან და ფინეთთან მოუწევს თამაში. ქეცბაიას მშვენივრად ესმის, რომ გრანდებთან ჭიდილი რთული იქნება. "რთულია ისაუბრო გუნდზე, რომელიც ჯერ კიდევ ეძებს საკუთარ თამაშს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს აქვს ფინალურ ეტაპზე გასვლის პოტენციალი, - აცხადებს ყოფილი ნახევარმცველი, რომელსაც მშვენივრად ესმის, თუ რა უნდა იყოს საქართველოს ნაკრების რეალური მიზანი, - ჩვენი რეალური მიზანი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩამოვაყალიბოთ გუნდი, რომელიც 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს".

პრობლემა

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ



ვიკა სანიკიძესთან ბურთი უფრო ხშირად უნდა მიდიოდეს

კალათბურთი მორჩა და ცოტა მოვიწყინეთ. სპორტის სასახლეში ტელეტოვიჩებზე და ვალტერსების ცუდ ვერსიებზე ჯერ ვერ წავალთ და შემდეგ საკვალიფიკაციომდე ვისვენებთ. საკვალიფიკაციომდე ვისვენებთ და საინტერესო ამბები სლოვენიაში გველოდება. იგორ კოკოშკოვი თავისი კარგი ასისტენტებით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩავა და შემდეგ დონეზე უნდა გავიდეს. ჩვენ გვინდა, რომ გავიდეს და თუ გავქაჩავთ, მშვენიერი იქნება. ამ ნაკრების ნიჭი პირველ დონეზე მეტია და ამ ნაკრებით ბევრ დონეზე ვართ გასასვლელები.

სლოვენიამდე გვექნება ტესტებიც. იმ ტესტებში უფრო მეორე ეშელონის შნოს ვხედავთ. პირველი ხუთეულის და ძირითადი ეშელონის მოგვარებული პრობლემები ვიცით. პრობლემები სულ მოსაგვარებელია. პრობლემებს ჩვენზე სერიოზული გუნდები და გუნდებით აგვარებენ. თუ ესპანეთში გასოლები პასიურად დადიან, ეს პრობლემაა. თუ რუსეთში ანდრეი კირილენკო გამოუძინებელია, ეს პრობლემაა. თუ საფრანგეთში ტონი პარკერი ვარჯიშზე ღამის კლუბიდან მოდის, ეს პრობლემაა. თუ ლიტვა ლინას კლეიზას გარშე აგვარებს იმ პრობლემებს, ეს უფრო მურტალი პრობლემაა. თუ მაკედონია ბო მაკალების მაგარ მუხლებს ვერ მოარჩენს და მაკალები გადახსნილი მაჩეტეთი სხვას ვერ გადახსნის, ეს პრობლემაა. პრობლემები ჩვენც გვაქვს. ამ პრობლემებს მომენტებში ვერ ვამჩნევთ და პრობლემები არის.

ზაზა ფაჩულიამ უფრო მეტი აგრესიით უნდა დაშალოს მეტოქის სამწამიანი. პასიური ზაზა პრობლემაა.

ვიკა სანიკიძემ უფრო მეტი ნდობა უნდა მიიღოს. ვიკა ბურთის გარეშეც ბევრს აუწევს ყურს და სანიკიძესთან ბურთი უფრო ხშირად უნდა მიდიოდეს. უბურთო ვიკა პრობლემაა.

ჯეიკობ პულენი კარგი ტიპია. თავს ამერიკულად აქანავებს. პულენი ჩვენთან პირველ ნომრად მოდიოდა და მეორეა. შუთერობს. ერთი ცინცაძით მეორე დონეზე გასვლა რთულია. გიო დაიღლება და ეს პრობლემაა.

მანუჩარ მარკოიშვილი გამოცდილებით თამაშობს და ნაკრები ამ გამოცდილებას ისე იღებს, როგორც სახარაში ჩავარდნილი მოგზაური ცივი წყლის რამდენიმე წვეთს. მანუს გარეშე ბევრი პრობლემაა.

ცინცაძე ჩვენი პირველი ნომერია და გიორგის საკალათბურთო აზროვნების პიკი აქვს. ბუ გამოცოცხლდა, აგრესიული ბუ გახდა და ამ ბუს დასვენება უნდა. კარგ პირველ ნომერს ნორმალური პირველი ნომერი უნდა ასვენებდეს. კოკოშკოვის ბენდში ასეთი არ არის. ეს პრობლემაა.

გიორგი შერმადინი იმ ცუდი ტრავმის შემდეგ პასიურია, სხვას და საკუთარ თავს უფრთხილდება. მარტო ზაზა ბევრს ვერ მოხსნის და დიდი ბიჭი უნდა ისვენებდეს. პასიური შერმადინი პრობლემაა.

თორნიკე შენგელიაზე უფრო მეტი კომბინაცია უნდა იყოს აწყობილი. თოკო დღეს სწავლობს, სწრაფად ითვისებს ყველაფერს და ეს პროცესი არ უნდა გაჩერდეს. ბურთი თოკოსთან უფრო ხშირად უნდა ჩადიოდეს და შენგელია კიბორგი იქნება. თოკოს პონტენციალის, აგრესიის და ენერგიის შენახვა პრობლემაა.

პრობლემების ვერდანახვაც პრობლემაა. მოგება სასიამოვნოა და ყველა მოგების უკან ამოფარებულია ერთი ნაძირალა, გაიძვერა არსება. წაგება. წაგება პრობლემებს ქმნის და წაგების შემდეგ ბევრ რაღაცას ვერ ვხედავთ, ვერ ვამჩნევთ, მოგება გავიწყდება. ესეც პრობლემაა. ქართული, ასიანი პრობლემა.

კოკოშკოვი აქ არ არის, ამერიკაში ამერიკულ პრობლემებს აგვარებს და ეს ისე რა პრობლემაა. კოკოშკოვს კონსპექტებს დავით უსტიაშვილი და კოტე ტუღუში დაახვედრებენ. ეს პრობლემას ხსნის.

და იმ კონსპექტებში ყველაფერი დალაგებული უნდა იყოს. პრობლემები რომ მოიხსნას და ამ პრობლემებზე რომ არ ვიჭორაოთ.

იდეაში, მაგარი გუნდით ჩავალთ სლოვენიაში და ეს გუნდი საკუთარ პრობლემებს ისე უნდა აგვარებდეს, რომ სხვას პრობლემებს უქმნიდეს და ჰამაკში იყოს ჩაწოლილი. კოკოშკოვი პოზიტიური, სანდო, მეგობარი მწვრთნელია და იგორი თავის პრობლემებს თვითონ აგვარებს. უბრალოდ, სხვამ საკუთარი მინუსი ცოტა მეტი ლტოლვით რომ გადაფაროს, ცუდი არ იქნება.

კარგი გუნდი დიდი დოზით ნიჭი, დისციპლინა, დაზღვევა და კარგი მწვრთნელია. ნუ, თავის ამბავში კალათბურთის ფედერაციაც არ უნდა იჭრებოდეს და ამ მხრივ ყველაფერი კარგად არის. და თუ ის პრობლემები მოგვარდება, საქართველოს ნაკრები შემდეგ დონეზე კარგ გუნდად შევა.

კარგი გუნდი პრობლემებს უკეთ აგვარებს. სლოვენიაში პრობლემებზე აცრილები უნდა ჩავიდეთ. რომ მაგალითად, ბულგარეთებთან არ დავდგეთ და მოსაგები მოვიგოთ. სხვა მხრივ, ყველაფერი კარგად მიდის.

ტესტ-მატჩების უპრეცედენტო პროგრამა მეორე დონის რაგბის კავშირებისთვის

IRB-მ (რაგბის საერთაშორისო საბჭომ) წამოიწყო უპრეცედენტო პროექტი - საერთაშორისო თამაშების სერია, რაც გულისხმობს მე-2 და მე-3 დონის რაგბის კავშირების უზრუნველყოფას საშემოდგომო ტესტ-მატჩების მრავალფეროვანი პროგრამით.

IRB-ს სტრატეგიული ინვესტირების პროგრამის მონაწილე 12 რაგბის კავშირისთვის დაგეგმილი თამაშები დაემატება იმ საერთაშორისო ტესტ-მატჩებს და ტურნეებს, რაც IRB-მ პირველი და მეორე დონის რაგბის კავშირებისთვის დაგეგმა ჯერ კიდევ 2010 წელს.

რუსეთი, აშშ, სამოა, კანადა, ტონგა, ფიჯი, რუმინეთი, იაპონია, ურუგვაი, პორტუგალია, საქართველო და ჩილე ითამაშებენ უმაღლესი ხარისხის ტესტ-მატჩებს.

ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ IRB-ს მზაობას უზრუნველყოს მეორე დონის ნაკრებები მაღალი დონის ტესტ-მატჩებით. თამაშები იგეგმება წინა სეზონებში აპრობირებული სამატჩო განრიგების საფუძველზე. საკმაოდ დატვირთულ ნოემბრის სათამაშო კალენდარს წელს ემატება საინტერესო მინი-ტურნირი რუსეთის, აშშ-ს, სამოას და კანადის მონაწილეობით, რომელიც გაიმართება კოლვინ ბეიში (უელსი).

2012 წლის ნოემბერს დაგეგმილი თამაშებიდან ასევე აღსანიშნავია ინგლისი-ფიჯი (ლონდონი), უელსი-სამოა (კარდიფი), კანადა-ახალი ზელანდია (ოქსფორდი), საფრანგეთი-სამოა (პარიზი), შოტლანდია-ტონგა (აბერდინი) და ურუგვაი-პორტუგალია (მონტევიდეო).

IRB-ის თავმჯდომარე ბერნარ ლაპასემ განაცხადა:

«ეს მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა მსოფლიო რაგბისთვის. IRB ყველანაირად ცდილობს გაამდიდროს მე-2 დონის რაგბის კავშირებისთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო თამაშების ასორტიმენტი; ამდენად, ჩვენს მიერ ნოემბერში დაგეგმილი თამაშები მეტად მნიშვნელოვანია მე-2 დონის რაგბის კავშირების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და საბოლოო ჯამში, 2015 წლის მსოფლიო თასზე მათი მზადების თვალსაზრისით.

ნოემბერში ევროპაში უპრეცედენტო რაოდენობის ტესტ-მატჩები გაიმართება. სპორტის მოყვარულებისთვის ეს იქნება ერთგვარი დემონსტრაცია იმისა, თუ რას უნდა ელოდნენ 2015 წელს, როდესაც ინგლისი უმასპინძლებს მსოფლიოს 20 საუკეთესო სარაგბო ნაკრებს, რაგბის მსოფლიო თასის მორიგ გათამაშებაზე”.

IRB-ს განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელის მარკ იგანის კომენტარი:

«ნოემბრის ტესტ-მატჩებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ რაგბის კავშირების სანაკრებო განვითარების საქმეში, რომლებიც მოქცეულნი არიან IRB-ს სტრატეგიული ინვესტირების პროგრამაში. 2015 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების საჭიროებებიდან გამომდინარე, ყველა ნაკრების მწვრთნელს ენდომება შეაფასოს მოთამაშეები თამაშის პირობებში, IRB-ის კი მიეცემა საშუალება პრაქტიკულად შეამოწმოს, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს მე-2 დონის რაგბის კავშირებმა.

ნოემბრის ტესტ-მატჩების პროგრამა ზურგს უმაგრებს ჩვენს მიერ ორგანიზებულ სტრატეგიულ ტურნირებს: ივნისში გამართულ წყნარი ოკეანის ერთა თასს და IRB-ს ერთა თასს, ამერიკის კონტინენტის სარაგბო ჩემპიონატს, რომელიც ოქტომბერში გაიმართება. განსაკუთრებით გვაინტერესებს, როგორი გამოვა კოლვინ ბეიში, უელსში დაგეგმილი მინი-ტურნირი, რომელიც გაიმართება 9 და 17 ნოემბერს; მოუთმენლად ველით იაპონიისა და ფიჯის ნაკრებების პირველ ვიზიტს საქართველოში.”

rugby.ge

მანჩინის ბალოტელის თავაშვებულობა აცოფებს

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ მარიო ბალოტელის უთამაშებლობის მიზეზი "მანჩესტერ სიტის" იტალიელ მწვრთნელ რობერტო მანჩინისთან მისი კონფრონტაცია ყოფილა.

ბალოტელი ესპანეთის დედაქალაქში გუნდთან ერთად ჩაფრინდა. ეგაა, მანჩინიმ იტალიელი ლეგიონერი არათუ ძირითადის, არამედ სათადარიგოთა შემადგენლობაშიც არ გაამწესა. ბრიტანული გამოცემა Daily Star იუწყება, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელის მიმართ დისციპლინარული სანქცია გამოიყენა.

ირკვევა, რომ ინგლისური კლუბის იტალიელ მწვრთნელს არ მოსწონებია შაბათს "სტოკთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ შეგირდის თავაშვებულობა - ბალოტელის ერთ-ერთ კლუბში დილამდე მოულხენია. იტალიელ სპეციალისტს იმედი ჰქონდა, რომ "რეალთან" ურთულესი მატჩის წინ მისი ფეხბურთელები დაისვენებდნენ, მაგრამ ბალოტელიმ მწვრთნელის რჩევა არ გაითვალისწინა.

ამავე გამოცემის თანახმად, მადრიდში გამგზავრების წინ, მანჩინის და ბალოტელის რთული საუბარი ჰქონდათ, რომლის დროსაც მწვრთნელმა ფეხბურთელს განუმარტა, რომ "რეალის" წინააღმდეგ არ ათამაშებდა, მაგრამ ესპანეთში გუნდთან ერთად გამგზავრებაც დაჟინებით მოუთხოვია.

გარდა ამისა, მანჩინის არც ის მოსწონს, რომ 22 წლის იტალიელი თავდამსხმელი სიგარეტის მოწევას თავს ვერ ანებებს. მწვრთნელმა ბალოტელის შესთავაზა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად ფსიქოთერაპევტს დაუქირავებდა, მაგრამ მანჩინის ამგვარი მზრუნველობისგან ბალოტელიმ თავი შორს დაიჭირა - ამის სურვილი არ მაქვსო.

"ოქროს დიდ პრიზს" ქართველი ფალავნები მიადგნენ

გიგა გურასაშვილი

ბაქო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოჭიდავეთა ფინალური "ოქროს დიდი პრიზისთვის" (21-23 სექტემბერი) ემზადება და მასში საქართველოს ბერძნულ რომაული და თავისუფალის სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებიც იასპარეზებენ. აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის ცნობით, "ოქროს დიდი პრიზის" საპრიზო ფონდი შეადგენს 441 ათას აშშ დოლარს, რომელსაც 26 ქვეყნის ნაკრებები მათი შედეგების მიხედვით გაინაწილებენ.

აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივნის აჟდარ ჯაფაროვის ცნობით, ჩემპიონები 10-10 ათას დოლარს მიიღებენ, ვიცე-ჩემპიონები 5-5 ათასს, ხოლო ბრინჯაოსნები 2-2 ათასს. გარდა ამისა, ორი ათას დოლარს მიიღებენ მომავალ ჩემპიონთა მწვრთნელებიც.

ბერძენ-რომაელთა ასპარეზობებში საქართველოს ნაკრებს წარმოადგენენ ნიკა ცეცხლაძე (55 კგ.), მარადი აბულაძე (66 კგ.), ილია გულბათაშვილი (74 კგ.), რევაზ ნადარეიშვილი (84 კგ.), ირაკლი ქაჯაია (96 კგ.) და სერგო გოგისვანიძე (120 კგ.).

აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივნის განმარტებით, "ოქროს დიდ პრიზზე" ასპარეზობა ევალებათ იმ მოჭიდავეებს, რომლებმაც ადრეულ ოთხ დიდ პრიზზე მოწინავე რვა ადგილი გაიყვეს, ხოლო ისინი ვინც ბაქოს ხალიჩაზე გამოსვლაზე უარს იტყვიან ხუთი ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდებიანო.

როგორც არ უნდა იყოს, ბეგი დარჩიას გუნდის ექვსეულიდან ხუთმა თავად მოიპოვა ეს საგზური, გოგისვანიძე კი ტრავმირებული რევაზ ჭელიძის ნაცვლად იჭიდავებს.

ისიც აღვნიშნოთ, რომ საუბარია კომერციულ და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე, რომლის მაღალ ავტორიტეტსაც მისი საკმაოდ მსუყე საპრიზო ფონდიც განსაზღვრავს.

ბაქოს "სერჰედჯის" დარბაზში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც იასპარეზებს. ზაზა თურმანიძეს გუნდიდან "ოქროს დიდ პრიზზე" ვიხილავთ გიორგი ედიშერაშვილს, ტრისტან ჩირგაძეს (ორივე - 55 კგ.), იაკობ მაქარაშვილს (74 კგ.), ელიზბარ ოდიკაძეს (96 კგ.) და გიორგი საკანდელიძეს (120 კგ.). მათ შორის მხოლოდ ჩირგაძეა ისეთი, რომელიც ტრავმირებული ლაშა ლომთაძის (55 კგ.) ნაცვლად იჭიდავებს აზერბაიჯანულ ხალიჩაზე.

ასპარეზობებს სწორედ თავისუფლები გახსნიან, 22 სექტემბერი ქალ მოჭიდავეებს დაეთმობათ, ხოლო დასკვნითი დღე ბერძენ-რომაელებისაა.

ბუნებრივია ფინალურ "ოქროს დიდ პრიზზე" აზერბაიჯანის ნაკრები, როგორც შეჯიბრების მასპინძელი გაფართოებული - 54 კაციანი შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი. მათ შორის იქნებიან მსოფლიოსა და ევროპის ყოფილი ჩემპიონები ჰასან ალიევი, ალი ისაევი, ელჩინ ალიევი და რაფიკ ჰუსეინოვი.

ისიც აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანის ოლიმპიური ნაკრების 13-წევრიანი შემადგენლობიდან ხალიჩაზე მხოლოდ სამი მათგანი გავა. ესენი კი არიან, აშრაფ ალიევი, ჰასან ალიევი და აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე შალვა გაბადაძე.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე